

# საქართველოს მოამბე

№ 5

ზინაარსი: მეთაური; სალამი. ლექსი—ი. ზრინა-  
ზვილინა; ნატალია გაბუნია-ცაგარლის ავტობიოგრაფია—  
ნატოსი; ვერა, ვერ გიმღერ, ლექსი—ა. ზანაიაზვილინა;  
მთის არწივი შამილი—ა. ზარნაილინა; სანდრო ქართვე-  
ლიშვილის სამუშაო დღე—ს. შ.—ანისა; შინაური მიმო-  
ხილვა; რას უნდა გავუფრთხილდეთ?—ი. ციციშვილინა;  
მელენოვისა და მევენახეობის კოოპერაციები—ს. ვანა-  
ნიშვილინა; ერის უფლება—Baton-ისა; უცხოეთის მიმო-  
ხილვა;

29 ნოემბერი.

კვირეული საზოგადოებრივი, სამეც. & სალიტ. კურონალი

1909 წ.



## ნატალია გაბუნია-ცაგარლისა.

ერს მრავალგვარი გზა აქვს თვის გრძნობათა და მისწრაფებათა გამოსახატავად, მრავალ გვარი საშუალება აქვს, როგორც შემწეობით მის წევრებს შეუძლიათ იგრძნონ ერთობა, ურთიერთის ფსიხიური სიახლოვე, ერთგვარი ლტოლვილება, ერთგვარი ცხოვრება. ამ მიზანს ემსახურება სხვა-და-სხვა საზოგადოებრივი დაწესებულება, მეცნიერება, ლიტერატურა, სცენა და სხვ. მაგრამ არის ისეთი მომენტი ერის ცხოვრებაში, ხშირად ძლიერ ხანგრძლივიც, როდესაც ის ისტორიულ გარემოებათა გამო დამონებულია, თავისუფალი ზრდის გზა დახშული აქვს, მაზე გაბატონებული ერი ცდილობს მის გონებრივ პროლეტარიზაციას, ყოველგან, სადაც-კი მოინდომებს თავის ვინაობის გამომქლავნე-

ბას, გზაზე გადაეღობება და ამ ნაირად ხელოვნურად, ათასი შემავიწროებელი საშუალების შემწეობით დამონებულ ერის შვილებში სუსტდება გრძნობა კულტურულ და საზოგადოებრივ ერთიანობისა. მეტად მძიმე ხანაა ერის ცხოვრებაში ასეთი დრო მას სურს ამოისუნთქოს და თითქო ამ დროს ხელოვნურად ჰაერს ართმევენ. მას სურს ფრთა გაშალოს, ჭ ამ დროს ათასი გზით ცდილობენ ფრთები შეუხრუკონ და დააუძლურონ. ასეთ დროს, როცა კი თავის მისწრაფებათა გამომქლავნება მეტად საძნელო ხდება, როცა საერთო საზოგადოებრივი ასპარეზი დახშულია, სცენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

აქ ხალხი მოდის არა მარტო თავის ესთეტიურ გრძნობათა დასაკმაყოფილებლად, არა მარტო სიამოვნებისათვის, აქ ის ეძიებს თავის პოლიტიკურ

და საზოგადოებრივ მისწრაფებათა გამომჟღავნებას, აქ ის გრძნობს ერთიანობას თავის წარსულთან და ამ წაირად ეჩვევა ისტორიულად თავის ვინაობის შეგნებას და ამით ემზადება მომავლისათვის. ამიტომაც ჩვენთვის, დამონებულთათვის, ჩვენი სცენა მეტად საყვარელი, მიმზიდველი და პატივსაცემი უნდა იყოს.

ჩვენს პირობებში ყოველი საზოგადო მოღვაწე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას შესაფერი პატივისცემა ცხოვრებაში არას ღროს არ ეღირსება. აგეთივე ბედი მოელის, რასაკვირველია, სცენის მუშაკსაც, და ამიტომაც მისი მუშაობა ათჯერ და ასჯერ უფრო ძვირფასია ჩვენთვის. ათასი გაქირვება, მუდმივი ქონებრივი სიფიწროვე, ხშირად შიმშილიც მისი ჩვეულებრივი თანამავალი მოვლენაა. მაგრამ მიუხედავად ასეთი პირობებისა ჩვენმა სცენამ მოგვცა რამოდენიმე გამოჩენილი, გულმოდგინე და დაუღალავი მოღვაწე, რომელთაც მთელი თავისი სიცოცხლე სცენას შეაღიეს და ამით სამშობლოს დაუფასებელი მსხვერპლი შესწირეს.

ამ მუშაკთა შორის ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს ნატო გაბუნიას, რომლის ოც და ათი წლის სასცენო მოღვაწეობასაც დღეს ვდღესასწაულობთ. შეუძლებელია, ჩვენი სცენა წარმოიდგინოთ და მასთან ერთად არ დაგეხატოთ თვალწინ ნატო გაბუნია თავისი შეუღარებელი ნიჭით, არ გაგახსენდეთ შფოთიანი ხანუა, არსებობისთვის ბრძოლაში გაბორბტებული ფროშარი და სხვა მრავალი ტიპი, რომელიც ჩვენ სცენაზე ნატოს მადლიან ნიჭს შეუქმნია.

და აი დღეს ამ ოც და ათი წლის მუშაობას ვდღესასწაულობთ. მთელი საზოგადოება ერთსულოვნად შეერთდება ამ დღეს, რათა სიხარულით, პატივისცემით და მოწიწებით მიეგებოს დამსახურებულ იუბილიარს და უსურვოს მას კიდევ ხანგრძლივი მუშაობა ჩვენის სცენის საკეთილდღეოდ.

# ს ა ლ ა მ ი .

(ნ. მ. გაბუნია-ცაგარდისის)

—+\*\*\*+—

შუქურ-ვარსკვლავი თავს დაგციმციმებს.  
და დაგქათქათებს პირბადრი მთვარე,  
ბუღბული გიშღერს სააშიყო ხმებს,  
დილის ძილს გიმკობს მზე მოელვარე.

\* \* \*

ნიაგმა ბუჩქნარს ვარდი მოსტაცა  
ჯიღათ დაგადგა... დაკავიერვინა,  
ძირს მიწა გლოცავს და იქ მალლა ცა  
რომელმაც მადლი უხვად მოგვინა.

\* \* \*  
ყველა გადიდებს რა დიდის აზრით,—  
ხენი მალაღნი ძირს ტოტებს ხრიან.  
და მდინარენიც ჩუხჩუხ-ნავარდით  
თაყვანის ცემით,—სალამს გიძღვნიან.

\* \* \*

მსურს მივცე ბანი ბუნების ფერხულს,  
გადავივიწყო სევდა-ვარამი  
და დღეს საერთო ამ დღესასწაულს  
მიუძღვნა ჩემი წრფელი სალამი.

ი. გრიშაშვილი.

## ნ. გაბუნია-ცაგარდის ავტობიოგრაფია.

მე დავიბადე ქ. გორში 1859 წელს სსმს თებერვალს. დედ-მამის გარდა მეავდა დედის დედა ფიცხელაურის ქალი. წერა-კითხვა ქართული ბებია ჩემმა მასწავლა. თითონ ბებია ჩემი ლექსებსაც სწერდა, მეც ვითომ ვწერდი ლექსებს: ყველანი მეუბნებოდნენ, რომ შენ ბებიას გეყვარ ნიჭითაც და სიმღერითაცაც. თორმეტი წლის ვიქნებოდი, მამაჩემმა მიამბარა ხრუშოვის ოჯახში, რომელსაც ჰქვიადა ორი ქალი, კურს დამთავრებულე ბი თბილისის ინსტიტუტში. მამის არაერთი სწავლები სასწავლებელი არა იყო-რა გორში, ის ქალები იყვნენ ჩვენი განმანათლებლები. ჩემი სწავლის ფასს იხდიდა მამაჩემი თავში სამ მანათს. სწავლა დავამთავრე სსმს თავის განმავლობაში. ერთხელ დავწერე ლექსები და გამოეგზავნე თბილისში დასაბეჭდად ანტონ ფურცელაძეს, გადაეკითხნა და რაკი უვარგისად დაეჩინა, უკანვე გამოეგზავნა და მწერდა, მიზეზი დაუბეჭდაბისა ის არის, რომ ცენზორმა არ გაუშვა. მეც თავ-გამოდებული ყველას შევჩივდი, ჩემი ლექსები ცენზორს არ გაუშვია დასაბეჭდად, სწინააღმდეგოდ მიუღია მეთქი. თექვსმეტი წლისა ვიქნებოდი, რომ სცენაზედ გამომიყვანეს, საქველ-მოქმედო წარმოდგენა გამართეს დრამა ჰატივ-ცემულ თ. ელიზბარ ერისთავის სახელში ქ. გორში. ეს წარმოდგენა პირველი წარმოდგენა იყო გორში. ზიეს ვითამაშეთ — თ. გიორგი ერისთავის თხზულება „ტუნწი“. ტუნწის ქალის როლს თამაშობდა ქ. მარიამ დემურია, მე ვითამაშობდი მისამსხურე (მონავარდისის) როლს. ამ წარმოდგენას დაესწრო თბილისიდან მოსული განსვენებული ჰატივ-ცემული დავით გიორგის ძე ერისთავი (სამშობლად ავტორი). შემოვიდა კულისებში, მამაჩემი შეჩაბიღ თან შემოვიდა და უთხრა, აი ეს ჩემი ქალი არის. მამაჩემმა ისიც გამაცნო და მითხრა — ეს ამ ზიესის ავტორის შეილი არის. ჰატივცემულმა დავითმა მომილაქრსა, ხელი მომხვია და მითხრა, ზიესს გადმოვთარგმნე ფრანგულიდანაც, სხვად ჰქვია: „გეო, მინას და კამზანია“, თბილისში უნდა ვითამაშოთ და შენ უოუოთ უნდა წაგიყვანო, მინასს ცოლის როლი უნდა გათამაშო და, რასაკვირველია, მამაჩემსაც სიტყვა ჩამოაჩთვა. ამის შემდეგ შემხვდა ანტონ ფურცელაძე კიდევ გორში და მითხრა: ზოტობას



თავი დასრულებულია, —სწორედ სასტუმრო ქალი ხარ; მე ეს გულში ჩამწვდა და მუდამ წარმოდგენას უფიქრობდი მეტადრე მამინ, როცა ჩემი პირველ წარმოდგენის შესახებ რეცენზია წავიკითხე: მთელი დღე და ღამე უბით დამქანდა გახეთი და დიდათ განარბულს ვგრძნობდი ჩემს თავს. როდესაც წერილით შეატყობინა მამამისმა განსვენებულმა დავით ერისთავმა, წარმოდგენის დროს თითონ მამამისმა ჩამომიყვანა თბილისში; წარმოდგენა გამართეს თამაშობის სახლში შუა ბახარში, დიდალი საზოგადოება დაესწრო. სხვათა შორის ვიხსენებდი მამულს კიდევ; ხალხის აღტაცებას და ტაშის ცემას საზღვარი არა ჰქონდა. ამ წარმოდგენის მეორე დღეს ასევე გორში წამომიყვანა მამამისმა; გორში კიდევ გაიმართა წარმოდგენა, ვითამაშეთ ადამიანი თუთაშვილის ბიუსა „ცოლი ვიტროს თუ ფული“. თამაშობდნენ მსწავლელები გორისა და სხვათა შორის, გიგო უიფშიძე. დაესწრო ამ წარმოდგენას ანტონ ფურცელაძე, რომელმაც რეცენზიაც დასწერა გაზეთ „დროებაში“. მამინ კიდევ გამართეს მიწერ-მწერა ჩემ შესახებ თბილისში ჩასუყვანად ლოლა ეიფიანმა და დავით ერისთავმა, რადგან ქართული დრამატული დასი სდგებოდა; მაგრამ მამამისი დიდ უარს აცხადებდა, მერე რამდენჯერმე სახალ მახბუელი გამოცხადებდა თბილისიდან, როგორც ნათესავი, და ბევრი ეხვეწა მამს ჩემი თბილისში გაგზავნა, მაგრამ მამინ ვერ დათანხმდა. მე და მუჟდა თბილისში გათხოვილი ვიცოდა, რომ დიმიტრი ეიფიანი და ის ერთ ეზოში ცხოვრობდნენ, ზოგიერთმაც მიჩაქეს წამოგუსულაევ; მამინ გადაწყვიტე გამოგანარულიეგ და შეგანარულიე ვიდე; წამოგუე სახალ მახბუელს თბილისში. დაარსდა დასი 1879 წელში. დასში ვითვლებოდით მე, მარამ საფაროვი (ახალიძის) ბარბარე კორინთელი (ეიფიძის), მამო უიფიანი (ქართველიშვილი); კაცებში, ახალიძე, კოტე უიფიანი, კოტე მესხი, სახალ მახბუელი, ადამ ჩუბინიშვილი, ნიკო მიშინაშვილი და ავქსენტი ცაგარელი. მეორედ ვითამაშე თბილისის სტენასზედ განსვენებულ ილია ჭავჭავაძის „სტენა მირგოვი პოსრედნიკოთა“. ლიტურის დოქტორმა იურებოდნენ დავით ერისთავი, ილია ჭავჭავაძე და აგრე მუხრანსკი; წარმოდგენის გათავების შემდეგ მამულს აკაკი წერეთლის ლექსი „თავო ჩემო ბუდი არ გაწერია“. მეორე დღეს წარმოდგენისა დავით ერისთავმა გადმოიტა ხუთი თუმანი და წერილი თ. ივანე მუხრანსკისკან, სადაც მადლობას უძღვნიდა დავით ერისთავს კარგი წარმოდგენის ნახვისთვის და მასთან ქართულ სიმღერის გაგონებისთვის. ქართული თეატრის რეჟისორი იყო დავით ერისთავი.

ზოგჯერ უფროსი წავიყვანეს დასი ბორჯომში, ახალ-თუმანში, ბათუმში, ახალ-ციხეში, ქუთაისში, ფოთში და გორში; ეკვლავან აღტაცებით გვიმბობდნენ და სახუქრებსაც კვამლეუდნენ.

1884 წელს თბილისში მოვიდა ცნობილი რუსეთის გამოჩენილი დრამატურგი ოსტროვსკი; ვითამაშეთ იმისი ბიუსა „შემოსვლიანი ადგილი“. მე ვითამაშობდი კუკუშკინის როლს. დრამატულმა საზოგადოებამ მწერალს

დაფინის გვირგვინი მიართვა დოქტორი ავქსენტი ცაგარელის ხელით, წარმოდგენის შემდეგ კულისებში შემოვიდა და თან ახლდნენ პატივცემულ სტუმარს ქართულ დასის გამგეობა. იმ დროს ქართულ დასის რეჟისორი იყო თ. გიორგი მიხეილის-ძე თუმანიშვილი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართულ თეატრის წინაშე. როდესაც შემოვიდა ბ. ოსტროვსკი და უთხრეს ჩემზედ, აი კუკუშკინის როლს ეს თამაშობდაო, მამინ გამომიწოდა ხელი და ხელზედ მაკცა, მეც ნაცვლად გადავიხვიე და ვაკცე. ბ. ოსტროვსკის ცრემლები მოქრია და წარმოსთქვა: „კუკუშკინი მოსვლას კი ვფიქრობდი, მაგრამ კი ვერ მოვიფიქრებდი, თუ ჩემს ბიუსას ქართულ ენაზედ ნათამაშებს ვნახავდიო და მასთან ამისთან ახალგაზდა მსხაობა ქალი ასე კარგა დამხატვრად კუკუშკინის როლსაო; აგრეთვე მადლობით მიმართა მარამ საფაროვს (ახალიძისს) რომელიც თამაშობდა პოლიანს როლს.

1886 წელს მოვიდა თბილისში გამოჩენილი იტალიის არტ სტაროსი, რომელსაც გაუმართეს ქართული წარმოდგენა. დიდებული არტისტი როსსი დოქტორი იყდა ჩვენ გამოჩენილ მწერლებთან. გვირგვინი მე მივართვი დოქტორი დრამატულ საზოგადოებისკან გაგზავნილი, ხალხი ზეზე წამოდგა და ტაში დაუკრა, როსსი წამოდგა ფეხზედ, გადაიხვიდა და მაკცა, ხალხს მიმართა: „ფრანგულ ენაზედ ვიტყოდი, რასაც ეხლა მე ვგრძნობ, მაგრამ ის გრძნობა, რომელიც მე მინდა გადმოქცეთ მე მსურს ჩემ სამშობლო ენაზედ ვითხროთ და დაიწყო იტალიანურ ენაზედ ღამაგა. მესამე დღეს მოვიდა ჩემთან როსსი და სახუქრათ სერგეიზი და მასთან თავისი სურათი წარწერთა მომიტანა.

1881 წელს განსვენებულ ზაქარია სარაჯიშვილის სახლში, თვეში ოთხჯერ ზარასკობით, სადამის რვა საათიდან თერთმეტ საათამდე იკრიბებოდნენ ეველა ქართველი მოღვაწენი, სადაც აუცილებლად იყო ამ კრებაზედ ბ. ალექსანდრე მიმუჟის ასული მელიქიშვილისა და გვიკითხავდნენ ვეფხვის ტყაყასისა. სადამი მშვენიერ ვახშმით თავდებოდა. ჩემს დროში, რეჟისორად გუჟავდა პირველად განსვენებული დავით ერისთავი, აკაკი წერეთელი, თ. გიორგი თუმანიშვილი, თ. ანტონ ლორთქიფანიძე, მ. ბებუთაშვილი, ნიკო ფაღლიაშვილი, თ. ვასო თუმანიშვილი.

ილია ჭავჭავაძემ, ვანო მახბულმა და მეუნარგამი წამიყვანეს განსვენებულ თ. გრიგოლ ორბელიანთან, ავად იყო და ჩემი სიმღერის გაგონება მოესურვა; ამათგან მომზადებული ვიყავ, რომ თ. გრიგოლ ორბელიანის ლექსი შემღერა („ვინცა გნახოს, კვლავცა გნახოს“) რასტის ხმაზედ. რომ მივედით გრიგოლ ორბელიანთან, მისი რძალი იყო იქა, მასთან კიდევ ადამადოვი, სამხედრო კაცი, (ირაკლი გრუზინსკის დედის ძმა) ჩამოკრა ადამადოვმა სიმებს, მშვენიერად უკრავდა თარს, მეც თავ მოწონებულმა დავიწეე სიმღერა; რომლებმაც მიმიყვანეს, ჩამიხველეს, რომ იმათკენ მიმეხედნა, მივიხვედ და რდასაც მანიშნებდნენ. მე იმათი ნიშნის ის შეგონა, რომ ძალიან კარგათ ვიმღერე და იმა-

თავ მისწონდათ. რომ შეგწევით სიმღერა გრიგოლმა მიბრძანა „ქალა! ხომ იცი ვისიღ ლექსი იმღერე“, „როგორ არა, ბატონო! თქვენი ლექსი გავხადე მეთქი“. გაეცინა და მითხრა: არა! ეგ ლექსი ამ ვაჟბატონისა არის და ილიაზედ მიმითითა. მაშინ გადავხედე, სავსე თავს და სავსელი ნაწიები სხით შემომხედეს. ავღეპით. წამოვედი და კზაში ბევრი მის ევეღურეს, ეგ როგორ მოგვიღადა, ხომ კზაში დაგარიგეთ, რა გრიგოლ არ-ბელისინს ლექსი გემღერა და შენ სულ სხვაზედ გადაუხეიო.

1879 წელს დაასრულა ქართული დასი და მე და-ვიწერე ჟგარი 1882 წელს. რაც პიესები ჰქონდა აქს. ტაგარელს ეველა პიესებში უხინველეს როლებს ვთამაშობდი. ეოველ წელიწადს ბენეფისას დროს მე გულ-დამშვიდებული ვიყავ, რადგან ვიცოდი ჩემი ბენეფისის-თვინ ასიკოს მომზადებული ექნებოდა ან პიესა ან თხზუ-ლებს რამე.

პირველი ბენეფისი მქონდა 80 წელს იანვრის ცხრაშეკტში. საზაფხულო თეატრს ეახდნენ (ხალხის თე-ატრში). ვითამაშეთ აკაკი წერეთლის პიესა „კინტო“ რომელიც ავტორმა ჩემთვის დასწერა. თეატრი ისე გა-ტენილი იყო ხალხით, რომ ტუვა ღარ იყო და ორ-კესტრში სკამები ხომ ჩადგმული იყო, სტენაზედ ღო-უები გააკეთეს. მრავალი საჩუქარი მომცეს; დიდს მონა-წილეობას იღებდნენ ვანო მახაბელი, ნაკოლაძის ქალი კატო, ოლიკო გურამია (ნაკოლაძის ცოლი), დავით გურამიშვილი, ოთარ დადეშქელიანი. სხვათა შორის ერთი იმისთანა ძვირფასი ღირს მახუქეს ძველებური ჩუქურ-თით გაკეთებული, ევანგელისის ნაქონი (ძველი მომღე-რადი თურმე იყო), რომელსაც ორმოცდა ათს თუმანს აფასებდნენ. თეატრი რომ გათავდა, დიდის ამით გამო-მიყვანეს. თეატრის წინ გაკეთებული იყო მშენივრად გენზილი ჩემი სახელი და გვარით. გამოსვლისთანავე შე-შხუნები აუშვეს, ამ გაკეთებულს ვეზილს წაუკიდეს რა-ღაც ტუცხლი და მთლად განათლდა, ჩამსვეს ჩემთვის მომზადებულს ეტლში, რომელიც მშენივრად იყო მო-რთული და ისე წამიყვანეს ჩემს ბინაზედ. ეტლი სოსი-კო მელიქიშვილისაგან იყო მომზადებული. მეორე დღეს კნ. ოღვა ჭავჭავაძისამ წამიყვანა თავისს სადილათ. თითონ მობრძანდა ჩემთან ვანო მახაბელით რა-ზუმოვსკის სახლში, სადაც ზაად მახაბელია დასვენა. იმ სადილზედ ივენენ კ. ილიას და, მისი დის-წული აბაზის ქალი, ვანო მახაბელი, აკაკი, იონა მუხარგია, პეტრე უმიკაშვილი, შქრო მალაქაშვილი, ნიკო დოდოშვილი, ნუშიკო სუმბათოვი (იუვინის მამა), სოსიკო შალიკოვი და სხვანი, ბევრი არ მახსოვს. ბე-რე ილახარაკის წინა დამის წარმოდგენაზედ, მამღერეს კიდევ. ოფელში ვიწერებოდი სირცხვილით. იმ დღეს სადილზედ სრულებით არ მიჰქმია რა, თუმცა კნ. ოღ-ვა ძალიან უყრადლებს მიჰქვდა და მეხვეწებოდა სადი-ლი გულისანად მეჭამა. არ გასულა ერთი კვირა, მოვიდა რეპეტიციისზედ ვანო მახაბელი და მითხრა „კინისას ძ-ლიან ეწეინა ზატარა ოთახი რომ გაქვს და თანაც რე-

ნის თეხი გადას, შეიძლება ხმა წავიხდეს ნათილარევი რომ განვალ იმ ზატარა ოთახიდანო. კნ. სურს თავისთან ახლოს დაგაყენოს, ოთახი უკვე დაიჭირავაო, და ესეც იცოდე, თავი უნდა დაგზურნო, უარი არ სთქვამო“. მე ძალიან შეურაცხყოფად მივიღე: თავის ხურავა რომ გამა-სუნა, ვიფიქრე მე, ამისთანა დიდ კაცი გავხდი, გაზე-თებში მწერამენ და ამით უნდათ მე ლეხი: ჩი დამხურონ! უთხარი: შენი ჭიბიე ვანო, თავი რად გიწდათ დამხუ-როთ, ხომ ქვეყანაში მისს: რად ამიგდეს, ან ამხანაგები რას იტყვიან მეთქი. ვანომ ამისსა ეველათერი, თუ რას ნიშნავდა ქართული მსახიობისთვის ქართულად ჩაცმა. მეორე დღეს გადამიყვანეს კნ. ოღვას მახლობლად იმავე ეზო-ში, და სადილი, ჩი მათთან მქონდა რასაკვირვლია უზ-რუნველად.

ხშირად გხედავდი ამ ჩემგან ჩამოთვლილს პირებს თ. ჭავჭავაძის სახლში. ვანო მახაბელი დღეობით შემ-ხედებოდა ხოლმე. თუ კი ვისიმე უყრადლებას დავიმსა-ხურებდი, სწავალ მამჩემს მერბას, რომელიც მა-ხლობელი იყო იმათი ოჯახისა, არწმუნებდა, რომ სთა-ვილი კი არ არის შენი ქალის მოქმედება, არამედ ჩვენ ეველას თავიც უნდა მოგვწონდესო. მამჩემი, როგორც ძველი კაცი, ნადიანბეგარი, თეატრს არა სწავლობდა, და არც შემრიგებია, ვინემ ჟგარი არ დავიწერე. ჟგრის წერაზედ არ უნდოდა თურმე წამოსვლა, თუ განსვენე-ბულ გიორგი განძიელს ძალით არ გამოეკზავნა. ბო-ლოს კი, თითონ მამჩემსაც სსახელად მიანდა ჩემი ხელმოწება...

თბილისში რამდენიმე სომხის ოჯახშიაც მქონდა დახლოება. სომხობა უფრო, თუ მეტი არა, არანაკლებ ქართველებზედ დადიოდა ქართულ თეატრში. ეოველ-თვის ბენეფისის დროს მხურვალე მონაწილეობასაც იღე-ბდნენ. პირველ ბენეფისში სომხის დრამატული საზო-გადებამ ძვირფასის ლენტით ძვირფასი თაიგული მო-მართვა. ზატავრებული დრამატურგი სუნდუიანტი თავის პიესების რეპეტიციებზედ ხშირად ესწრებოდა. მე და ს-ფარფის ქალს, ორივეს ერთად ხელს მოგვხვევდა და კვეტოდა ხოლმე: „ჩემი პიესების სულები თქვენს ხართ“.

ბევრი რამ კარგი, და თანაც მწარე გამომივლია სტენაზედ. ჩემთვის ეველაფერს თეატრი, შეადგენდა, ეხ-ლაც ესეა... შეიძლება მე სტენისთვის ჩადადაც ღარ ვიდრე, მაგრამ იგი კი ჩემთვის ეველაფერია. ჩემი ოჯახი, ჩემი ასიკო, ჩემი სალოცავი, ჩემი სულის დგმა, ჭ სხვა, და სხვა... სსოფნა არ მდალატობს, მაგრამ წარ-სულის მოგონებას ძალ-ღონე ნდომებია, და მხოლოდ ესეა ვეთანხმები დიდებულს რუსთაველს: „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნარას“... მალაღი დმერ-თი ერთია, რომელიც დრამად მრწამს, როგორც დმერ-თი, მაგრამ მრწამს, რომ ძირსაც არიან დმერთები, რ-მელნიც ხალხის გულში ძვრებია, იმათ ნ:ღველს იგებენ და თვითვე მკურნალებად უხინდებია. აი, მე აქ, ძირსაც მევანან დმერთები, რომელნიც მისუსტებულს, დატან-ჯულს, უძღურს, ძაღას მადლევენ სიცოცხლისას.

ნატო.



**ვერა!... ვერ გიმღერ!**

ვერა!.. ვერ გიმღერ სამხიარულოს,  
არ ვიცი რაა ჰანგი სალხენი;  
მეგობრად მყავს და არ მასვენებს  
ბედით მოძღვნილი მწარე ნალველი.

ნუ მიმეორებ, ვითომ გიყვარდე,  
მე ვერ მოვაგებ სამაგიეროს;  
გესმის? ქვითინებს ღედა-მშობელი  
და გულმან ტკბილად როგორ გიმღეროს?

*მ. მანიაშვილი*

**მთის არწივი შაშილი.**

ისტორიული ამბავი.

**III**

**გენერალ-ადიუტანტი გრაბზე და აჩკერიის ტყე.**

ჩვენ აზრად არა გვაქვს სავსებით ავსწეროთ შამილის ლაშქრობა და შეხლა-შეტაკება რუსებთან. მთელი მისი სიცოცხლე განუწყვეტელი ომია რუსის ჯართან და რუსის მთავრობასთან და დაწერილობით რომ გამოუდგეთ მათ აღნუსხვას, ძალიან შორს წავგიყვანს ასეთი განზრახვა. ვფიქრობთ, რომ საჭიროც არაა ამგვარი შრომა. თუ კი ღვაწლი და მოქალაქობა ერეკლე მეორესი ჯერ არ არის შესწავლილი და მადლიანის კალმით აღწერილი, როგორღაც გვეჩოთირება სხვათა გმირის და ქვეყნის ისტორიის გადმოცემა უმეტესაქლოდ. ვისაც ხალისი დაებადება შეისწავლოს შამილის ისტორია უნაკლულად და გაითვალისწინოს ყოველი წვლილი შამილის მღელვარებით სავსე და შუოთიან ცხოვრებისა, იმან უნდა მიმართოს ს. ს. ესაძის რუსულად დაწერილ წიგნს.

თუ რა უნარი ჰქონდა შამილს და რის შემძლე იყო ეს საკვირველი და საოცარი მთის არწივი, ნათლად სჩანს იქიდან, რაც თავს დაატეხა გენერალ გრაბზეს 1842 წ. და გრაფ ვარანცოვს 1845 წელს.

1839 წელიწადი ნავსიანი იყო შამილისთვის. თითქოს ერთი ცხვირი დააცემინა ამ წლის პირველ იანვარსა, და ნავსობა დაებედა, შამილმა ვერ გაიხარა ამ წელს და რამდენჯერაც შეებრძოლა რუსებს, იმდენჯერ დამარცხდა და დიდად დაზარალდა. ისე ღუნედ და უიღბლოდ მიდიოდა მისი საქმე, რომ 1839 წლის მიწურულებში რუსები აშკარად გაიძახოდნენ, შამილის საქმე წასულია, წელში ველარ გასწორდება და იარაღს დაჰყრისო. 1839 წლის დასაწყისის შეიკრიფა ჩრდილოეთ

კავკასიაში განსაკუთრებული რაზმი სახელად საჩაჩნო, რომლის უფროსად დანიშნეს სამთო ომში უკვე სახელგანთქმული სარდალი გენერალ-ადიუტანტი გრაბზე. მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ ასეთი გამოცდილი კაცი მთიულეებთან ბრძოლაში, როგორც იყო გენერალი გრაბზე, შამილს მალე მოუღებს ბოლოს და იმპერიაც მოისვენებს ამ ონავარ და გაუტეხელ მეომარისაგანაო.

მართლაც გაზაფხული და ზაფხული 1839 წ. სასიკეთო და საიმედო ნიშნებით დაიწყო რუსებისთვის. მაისის თვეს გენერალი გრაბზე შეიქრა მოულოდნელად საჩაჩნოში, აიკლო და დასწვა რამდენიმე სოფელი და 15 მაისს დაბრუნდა ვნეზანის ციხე-სიმაგრეში გამარჯვებული შესასვენებლად.

21 მაისს გენერალი გრაბზე ხელმეორედ შეესია საჩაჩნოს და მიაღვა სოფელ არგუანს, სადაც დაბანაკებულ იყო შამილი 16,000 მეომრით. გაიმართა ომი ფიცხელი და მწარე, ერთმანეთს აღარ ინდობდნენ მეომარნი. ხელჩართული ჩეხა-ჟლეტა თორმეტს საათს გაგრძელდა და აბა იანგარიშეთ, რა გალმასებულნი და ბრაზითა და ბოროტებით იქნებოდნენ აღსავსე მოპირდაპირენი. შამილმა დაჰკარგა ორი ათასი მეომარი არგუანის ბრძოლაში, ხოლო რუსებს დაუხოცეს 6:11 კაცი.

აიყარა შამილი არგუანიდან და დაბინავდა სოფ. ახულგოში. გენერალი გრაბზე ფეხ-და-ფეხ გაჰყვა შამილს და მიაღვა ახულგოს. მთელი ათი კვირა გარს უვლიდა გრაბზე ახულგოს, სცდილობდა ალყა ისეთი ყოფილიყო, რომ სოფლიდან ვერაფერს გამოსულიყო და ვერცაფერს შესულიყო, მაგრამ ეტყობა რუსებმა ვერ მოახერხეს ასეთის ალყის შემორტყმა. რაკი ყველა გასასვლელ-შემოსასვლელი გზები ვერ შეჰკრა გრაბზემ, შამილს მაშველი ჯარი ნაწილ-ნაწილ მოსდიოდა და მათის შემწეობით ორის მხრიდან გარს მოეცლო შამილი რუსის მხედრობას.

ახლა-კი შეფიქრიანდა გენერალი გრაბზე და დროზე აცნობა სამურის რაზმ-ს უფროსს გენერალ გალაგინს თვისი ვაჭირვება. გალაგინმა ხანი აღარ ახანა და დაიძრა თვისის ძრიცლის რაზმით ახულგოსაკენ. ორის რაზმის შეერთებამ გადასწყვიტა ამ სოფლის ბედი. რუსებმა იერიში იერიშზე მიიტანეს და ბოლოს 21 აგვისტოს დიდის სიმტკიცით და ხელადებით დაჰკრეს ციხეს. მაინც ორი დღე გაუძლო ახულგომ სასტიკს და შეუბრალელებლს იერიშს და ღონე გამოლევული დაეცა. მომეტებული ნაწილი ციხის დამცველთა ამოჟლიტეს რუსებმა, ხოლო ცოცხალი ვინც გადარჩა, მთასა და გორებში გაიფანტა. თვით შამილი ხელიდან გაუსხლტა რუსებს. მართალია გზაში დასკრეს შამილი, მაგრამ მაინც გაასწრო საჩაჩნოში გასვლა და დაბინავება არგუანის ხეობაში.

აზრი 1839 წლის შექრისა საჩაჩნოში ის იყო,



რომ შამილი ან მოეკლათ, ან დაეტყვევებინათ. თუმცა ვერც ერთი და ვერც მეორე გრაბბემ ვერ მოახერხა; მაგრამ გენერალი მაინც კაი გუნებაზე დადგა და ჰფიქრობდა, რომ აღარა ღირს დამარცხებულ და დაკოდირ შამილის უკან დევნა და საფლავამდის ჩაყოლაო. ასე ჰფიქრობდა და ოცნებობდა გენერალ-ადიუტანტი გრაბბემ, მაგრამ ბედის ჩაიხი მალე სხვანაირად დატრიალდა.

საანბანო ქვეშაირტებადაა აღიარებული, რომ ძველად რუსებმა ადვილად იცოდნენ სხვა-და-სხვა ქვეყნისა და ერის დაპყრობა, ხოლო მოვლა-პატრონობა დაპყრობილ ქვეყნისა, წესისა და რიგის შემოღება როგორღაც არ ეხერხებოდათ. სწორედ აქაც იგივე განმეორდა, რაც სხვაგან და მრავალჯერ მომხდარა. საჩაჩნოს დაპყრობილ დაბა-სოფლებში რუსის მთავრობამ ჩააყენა სამოქალაქო საქმეთა გასაძღლოად და ხალხის საპატრონებლად ბოქაულეები. აღბად ეს ბოქაულეები არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ნეტარ-სხენებულ კაპიტან-ისპრავნიკებს, საქართველო რომ გააბედნიერა გენერალ კნორრინგმა, და იწყეს საჩაჩნოს გამგეობა და პატრონობა „პრისტავულად“.

უწინარეს ყოვლისა ბოქაულეებმა მოსთხოვეს ჩაჩნებს, იარაღი აიყარეთო. დროსა და ჟამის შეუფერებელმა განკარგულებამ მთელი საჩაჩნო ყალყზე დააყენა, როგორ თუ იარაღი უნდა ავიყაროთო. ჩაჩანი, ავარიელი რის ჩაჩანი და ავარიელია, თუ-კი წელზე ხმალ-ხანჯალი არ ერტყმისო. ბრაზ-მორეული და ამღვრეული ხალხი იმასაც კარგად ხედავდა, თუ რა სამართალს უჩენდნენ ბოქაულნი მომჩივან-მოპასუხესა. აბა სად ბრძნული სამართალი და განჩინებანი შამილისა და სად სამართალი მაშინდელ ბოქაულეებისა. მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა იხუვლა და თავი დაუკრა ახულგოსთან ვითომდა სამუდამოდ დამარცხებულ შამილს, შენს მეტი ბატონ-პატრონი არავინ გვინდა, გვიწინიძღვრე და გვიმსახურეო.

შამილი პირველად ცოტა არ იყო გაინახა, აღარ შემიძლიან ვიტყვიროთო თქვენი წინამძღოლობაო, მაგრამ როცა თხოვნა და მუდარა რამდენჯერმე განუმეორეს, ამანათები მისცეს ნიშნად იმისა, რომ არ უღალატებენ და შეჰფიცეს თავს დავსდებთ შენის გულისათვისაო, მოღბა და ისმინა აჯა საჩაჩნოსი. ოსტატი იყო შამილი და კარგად იცოდა, სად და როგორ უნდა მოქცეულიყო.

როგორც ფენიქსი ნაცრიდან, ისე განახლდა შამილი 1840 წლის დასაწყისში, ერის ნდობით აღფრთოვანებული და გამხნევებული. ვინ იტყოდა მისი ამ დროს მნახველი, რომ შარშან ახულგოსთან მწარედ დაამარცხეს გრაბბემ და გალაფინმა და გაქცეული იქიდან გზაში დასჭრეს! სულ მცირე ხანს შამილმა მთელი მცირე საჩაჩნო ფეხზე დააყენა და დააწყო პატარ-პატარა რაზმებად. წარმოუ-


დგენელის სისწრაფით რაზმები იქ იზადებოდნენ, სადაც სრულიად არ მოელოდნენ და იკლებდნენ და მუსრს ავლებდნენ რუსის პატარა და უღონო რაზმებს და მეციხოვნეთ. მათის დევნით და მოკვრებით რუსის მხედრობას ცალ ცალკე რაზმები წელში გასწყდნენ და არაქათი გამოეღლიათ.

შამილის მეომარი რაზმები, რომელთაც წინამძღოლობდნენ სახელოვანი ვაჟკაცნი: ჰაჯი-მურატი, კიბიტ-მაგომა და ახვერდი-მაგომა ისე გათამამდნენ, რომ სადავლოდ რუსების ასაკლებად კასპის ზღვის პირს უწევდნენ ხოლმე, ეცემოდნენ თემირხან შურას და მდინარე თერგის პირობამდის ჩადიოდნენ. მშვიდობიანი მისვლა-მოსვლა შარა გზით კასპის ზღვის პირზე შესწყდა და განმეორდა ძველი-ძველი ამბავი—მოგზაურობა „აკაზიით“. თუ დიდი მშველი რაზმი არ ახლდა ხარბახნით მგზავრებს, ვერავინ ბედავდა ფეხი გაედგა ერთის ქალაქიდან მეორე ქალაქამდე, ან წასულიყო ვინმე ჩვენთან რუსეთს, ან დაბრუნებულიყო იქიდან საჩვენოში.

რანაირად გათამამდნენ შამილის რაზმები, სჩანს მოზდოკის აკლებიდან. 1840 წელს, 29 ენკენისთვის ახვერდი-მაგომას დასი დაეცა ქ. მოზდოკს, სადაც ბლომად სცხოვრობდნენ მეთვრამეტე საუკუნეს მოსული ქართველები და სომხები. მაგომამ მოზდოკი დააწიოკა და ტყვენი წამოასხა, მათ შორის სომეხ ვაქარ ულუხანოვის ძაელი სახლობა. ტყვედ ჩაუვარდა მაგომას ულუხანოვის ქალიც ანნა, რომელიც შამილმა ცოლად შეირთო და უწოდა სახელად შუანეტი. შუანეტი შამილის უსაყვარლეს ცოლად შეიქმნა და ეტყობა ანნასაც დიდად შეუყვარდა შამილი, რადგან თავისუფლებაზე უარი სთქვა და აღარ დაბრუნდა მამის ოჯახში, ოდეს თ. ბარიათინსკიმ ტყვე შამილი ჰეტერბურგს გაისტუმრა და ანნას გამოუცხადა, სრული უფლება გაქვს მამის სახლში დაბრუნდეთო. შუანეტამ ამჯობინა ტყვე გმირთან დარჩენა ქ კალუგაში მოზდოკში დაბრუნებას, ვაქარ ულუხანოვის ოჯახში.

ამ ხანებშივე შამილმა აირჩია ბინად სოფელი დარგო იჩკერიისა მდინარე აქსაის სათავეში. იჩკერია იმ დროს განთქმული იყო გაუვალ, უღრან და დახურულ ტყეებით. აი სწორედ აქ, სოფელ დარგოს, იჩკერიის ტყეებში, დატრიალდა 1845 წ. ის დრამა, რომელმაც, ცოტა გასწყდა, კინაღამ არ იმსხვერპლა გრაფი მ. ს. ვარანცოვი, სარდალი რუსის მხედრობისა და მოადგილე რუსის იმპერატორ ნიკოლოზ პირველისა კავკასიაში.

**ა. ფრონელი.**



### სანდრო ქართველიშვილის სამუშაო დღე.

(დასასრული).

— ახლა? თქვენ საით გაემგზავრებით? — შეეკითხა სანდრო ამხანაგებს, როდესაც შურის ჭამა გაათავა და ფული გადაიხადა. — თქვენ, ალბად, სახლში წახვალთ და დაიძინებთ, არა? რა ბედნიერი ხართ? მე კი ესლა ერთ ადგილას უნდა წავიდე, ძალიან საჭირო საქმე მაქვს, შვიდ საათზე ჩვენი გამგეობის კრება; მერე დღეს, ხომ იცით, წერა-კითხვის საზოგადოების წლიური კრება არის, რომელსაც უსათუოდ უნდა დაესწრო. თქვენ ხომ იქმნებით ამ კრებაზე? — უცბად შესძახა სანდრომ და რაღაცეა, რომ ვასუსხს არ აძლევდნენ, ხმის აწკიოთ დაუმატა: — უსათუოდ უნდა დაესწროთ, უსათუოდ. დღეს ისეთი საკითხებია გადასწვეტი, რომ, ვინც საზოგადოებრივ დემოკრატიზმის მომხრეა, დღევანდელ კრებას უმეტესად უნდა დაესწროს, თორემ — სანდრომ თავი დაღუნა და ხმის დაუმატა — ამ საზოგადოებას თავდასწრებული ელფერი აძევს! აბა, მოგვლით კრებაზე, ნახვამდის. სანდრო წელში გასწორდა, ორივეს ხელი მაგრად ხმარათვა და კარებისკენ გაემართა, მაგრამ კარებში შეჩერდა და ციბრუტიკით შემოტრიალდა: — მართლაც, სიკვამლე, რა უნდა შეთქვა შენთვის! — სანდრო იმათკენ გაემართა, — მაგრამ დღეს ხომ მოხვალ კრებაზე, იქ მოგელაპარაკებო, ნახვამდის, ემსწილეობო, ნახვამდის! — უცბად გაბრუნდა და ქუჩაში გავიდა.

შვიდი საათი იქნებოდა. ქალაქს ბინდი თან-და-თან წამოეპარა და ჩამოაბნელა, მაგრამ სიბნელესთან ერთად ქუჩებსა და სახლებში ენთებოდა ნათელი, სანთელი, გზის, ელექტრონი. სადილობის დროს დაცალიერებული ქუჩები კვლავ გაივსო, ხალხი კვლავ გამოიფინა და ზოგი საქმეზე, ზოგიც გასართობად სხვა-და-სხვა ადგილებსკენ მიემუხრებოდა. ერთ-ერთ ქუჩაზე, რომელიც მისიარულე ხალხით იყო გატყედილი, სანდრო ჩქარის ნაბიჯით და ხელების ქნევით მარადვეკვდა ხალხს, ზოგს მხარს წაჰკრავდა, ზოგს ეჯახებოდა, ზოგს გზას ვერ უძღვედა და წამდაუწუმ თავაზიანი სახითა და ხვეწნის კილოთი გაიხსენდა: *ВИНОВАТЪ... ИЗВИНИТЕ... ПРОСТИТЕ...*

სანდრო ბოდიშს იმითკი კი არ იხდიდა, რომ თავის დანაშაულს გრძობდა, პირიქით, სანდროს თვალში დამნაშავე თვით მისიარულე ხალხი იყო, რადგან ის „ბობო“ იყო უსაქმური, ქუჩებში უმიზნოდ მოხეტიალე და მას, სანდროს, საქმეზე მიამაგლს ადამიანს, ეს უსაქმო ხალხი ფეხებში ედებოდა, ახერხებდა, ძვირფასს წუთებს აკარგავინებდა. ტყუილად იყო ამ აზრისა, ამ დასკვნისა ნათლად ისახებოდა სანდროს სახეზე. და თუ მაინც ბოდიშს იხდიდა. ეს მხოლოდ იმისი ზრდილობისა და კეთილი გულის ნაყოფი იყო, სხვა არაფერი.

სანდრომ, როგორც იყო, მერე ქუჩისკენ შეუხვია, სადაც ხალხი ნაკლებად ირეოდა. ხუთი წუთის შემდეგ ის ხვნიშითა და ქმნიით განიერ კიბის საფეხურებზე აღიდა და შევიდა, სადაც ერთ ერთ საზოგადოების გამგეობის კრება უნდა მომხდარიყო.

მალე და ფართო ოთახში გამგეობის რამდენიმე წევრს უკვე მოეყარა თავი. დანარჩენ ამხანაგების მხოლოდინი ზოგი რაღაცა ქაღალდებს სინჯავდა, ზოგი მოწვენილი სახით თუთუნს ეწეოდა, ზოგიც ჩაფიქრებული ხელის ნაბიჯით ოთახში მიდი-მოდიოდა. უკვლას სახეზე მოწვენილობა ეტყობოდა და უკვლას მალ-მალ საათზედ იხედებოდა.

სანდრომ დერეფანში ფაცი-ფუცით გაიხადა ჰალტო და მხიარულად, ცოცხლად შეიჭრა ოთახში.

შესდგა თუ არა სანდრომ ფეხი ოთახში, უკვლამ და უკვლავიერმა ფერი იცვალა, თითქო ლამპრის შუქმაც კი იმატა. უკვლას სახე გაუღიმა და გაუნათლდა; უკვლას გამოფინებლდა, შეინძრა, გამხიარულდა და, თითქოს მხოლოდ სანდროს მოსვლას ელოდნენო, უკვლამ ერთად დაიწყო ლაპარაკი. სანდრო ჩაერია მუსიათში და ნახევარი საათის განმავლობაში, სანამ მათ მიემეტებოდა გამგეობის ორი წევრი, ოთახში მეფობდა ხმა მადალი ლაპარაკი და სიცილე-ხარხარი.

— ახლა კი მშვიდობით, ბატონებო, უკატრვად, ბოდიშს ვინდი, მივდივარ, — და სანდრო სწორედ იმ დროს წამოდგა, როცა გამგეობის თავმჯდომარემ გამაცხცხდა: უკვლასი აქა ვართ და დროს საქმეს შეუდგეთო.

— როგორ თუ მიდინართ? — გაკვირვებით შეეკითხა თავმჯდომარე, — კრება ახლა იწყება, ბევრი საჭირობოროტო საკითხია გადასწვეტი.

— უკატრვად ვარ, დიდად უკატრვად, მაგრამ წერა-კითხვის საზოგადოების კრებას ამდამ... მართლაც, უკატრვად, მე წინადადება უნდა შემომეტანა, სწორეთ ამისთვის მოკვდი ესლა, მაგრამ სრულიად გადასავიწედა... ბატონებო! — მიუბრუნდა სანდრო კრებას და ოთიცაიური კილო მიიღო. — მე შემომაქვს შემდეგი წინადადება: ამდამ წერა-კითხვის საზოგადოების წლიური კრებას, სადაც უნდა გადასწვედეს ისეთი საკითხი, რომელსაც ჩვენითვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და ჩვენი იქ დასწრება და ამ საკითხის გადასწვეტაში მონაწილეობის მიღება მე ფრთად საჭიროდ მიმაჩნია, ამიტომ შემომაქვს წინადადება: გადავლოთ დღევანდელი კრება და წავიდეთ წერა-კითხვის საზოგადოების კრებაზე.

თავმჯდომარემ უკმეხად შეხედა სანდროს და თავშეკავებით წარმოესთქვა:

— ჩვენი საზოგადოებისაგან ჩვენ მონდობილი გვაქვს ერთი საქმე და მოვალენი ვართ ვემსახუროთ ამ საქმეს, ვინც ამ მოვალეობას არა გრძობს, შეუძლიან წავიდეს სხვა კრებაზე.

სანდრო მთლად აწითა და სკადრისი ვასუსხის თქმა დააპირა, მაგრამ თავმჯდომარემ აღარ დააწყალა:

— ეს მეხუთე კვირა მიდის, — სთქვა იმან — რაც ვიკრიბებით, მაგრამ კრება ვერ მოგვიხდენია. ხან ერთი არ მოვა, ხან მეორე, ხან ერთს გაუხინდება სხვა საქმე, ხან მეორეს, ეს ჩვენი საქმე კი ადგილიდან ვერ დაგვიძრავს. ასე თუ გაგრძელდა საქმე, მე დავანებებ თავს თავმჯდომარეობას და სრულიადც წავალ ამ გამგეობიდან. დღეს ჩვენ უნდა მოვილაპარაკოთ შემდეგ საგანზე — მი-

უბრუნდა ის კრებას უკვე დამშვიდებული:—ერთმა ჩვენ-  
მა წევრმა გამგეობაში შემოიტანა განცხადება...

სანდრომ გულში გადასწვიტა აღარაფერი ეპასუხნა  
თავმჯდომარისათვის, გამოტრიალდა და კარებისკენ გა-  
შურა, მაგრამ ვეღარ მოითმინა, კარებთან შემოტრიალ-  
და და აღეგებულის კილოთი თავმჯდომარეს მიმართა:

— შე კარგად ვიცი ჩემი მოვალეობა და არავისგან  
არ ვსაჭიროებ მის ახსნას და განმარტებას.—სანდრო  
გაფარდა და კარები მიაჯახა.

თავმჯდომარის სიტყვები, და უფრო კი მოვალეო-  
ბის მოგონება, სანდროს ძალიან ეწეინა. კრებაზე გან-  
ხილვებული მიდიოდა, მაგრამ გაიარა ერთი ქუჩა, მეორე  
და თანდათან დამშვიდდა. სანდროს არ უფერდა საზოგა-  
დოდ რომელიმე გამგეობა, ან ისეთი წრე, ან კრება,  
რომელსაც ათი-თხუთმეტი კაცი ესწრებოდა. ასეთ ზა-  
ტარა წრეს ვერ შეეძლო მისი სულისა და გულის  
აღფრთხილება, ვერ შეეძლო აედუღებინა მისი სისხლი  
და ჯეროვანად გამოეფინებინა მისი გონება. ასეთ  
ზატარა და ოფიციალურ კრებაზე სანდრო ურუბ-ჩამოე-  
რილი და მწვენილი იჯდა, ეს კი მის ბუნებას სრუ-  
ლიად არ შეეფერებოდა. სულ სხვა იყო იმ გვარი კრე-  
ბა, სადაც ის მიდიოდა. დიდი, ბრწყინვალედ განათუ-  
ლი დარბაზი, აურებელი ხალხი სხვა და სხვა ხნოვანი-  
ბისა, ხარისხისა, კლასისა, სხვა და სხვა მიმართულები-  
სა, რწმენისა. აქა იქ სავარძლებში მოსხიანან საზოგადო  
მოდვასწე ქალები, რომლებიც ღირსეულად აფასებენ  
ყოველივე ინტელიგენტ რადიკალურ მიმართულები-  
სას. იქ, კუთხეში შეკვთულნი ახალგაზრდა განათხოვარი მო-  
სწავლე ქალები, რომლებიც ალტაცებით შესხერებიათ  
ორატორს. ყოველივე მის სიტყვას, მის აზრს ადვილათ  
ითვისებენ, იხსომებენ, იხიბლებიან და შემდეგ ჭიბბლა-  
ვენ თავიანთ მეგობრებს, ნაცნობებს. იქ, ამ გვარ კრე-  
ბაზე, სანდრო თავის თავს არწივად გრძნობს. იქ, მხო-  
ლოდ იქ შეუძლიან ფრთების გაშლა, რადგან ასპარეზი  
დიდა და მსმენელიც ბევრი. რა ვუყოთ რომ მისი აზ-  
რი, მისი ტკუისა და სულის ნაყოფი ერთს ან ორს არ  
მოეწონება, გაჭკიცნავს კიდევ, სამაგიეროდ ასი აღფრ-  
თოვანებით ტაშს დაუკრავს, გააღმერთებს, ზეცაში აიუ-  
ვანს.

ამ გვარ ფიქრებში იყო კართული სანდრო და,  
როდესაც ის კიბეზე ავიდა და საკრებულს დარბაზის  
კარი შეადო, თავმჯდომარის სიტყვები უკვე გულიდან  
გადაურლი, დავიწყებული ჰქონდა და გულ-გაფლავებული  
და სახე გაბრწყინებული შეერია ხალხში.

სანდრომ სწრაფად გადაავლო თვალი კრებას, ზოგს  
კაუდიმა, ზოგს თავი დაუკრა, ზოგს ხელი ჩამოართვა.  
შემდეგ თავისუფალ სავარძელში ჩაეშვა და ყური მიუტ-  
დო ორატორს, რომელიც რაღაცაზე ცხარედ ლაპარა-  
კობდა და ოფლის წურვით სცდილობდა ნათლად გამო-  
ერკვია საზოგადოებისათვის საგანი, რომელსედაც ლა-  
პარაკობდა.

გათავების დროს ორატორს ტაში დაუკრეს. შემ-  
დეგ წამოდგა მეორე, მესამე და, ეტეობოდა, კამათს

დასასრული აღარა ჰქონდა. საზოგადოებას, როგორც  
სჩანდა, მოსწეენდა ერთ-და-იგივე საგანზე სჯა და  
ბასი და თავის მოუთმენელობას ადგილზე ტოკვით,  
ხმაურობითა და ერთმანეთში ლაპარაკით ჭხატავდა. თავ-  
მჯდომარეს ზ.რი ეჭირა ხელში, დრო-გამომშვებით აწ-  
კარუნებდა და თან უმატებდა: ბატონებო, არა ისმის რა!  
გთხოვოთ, ნუ ხმაურობთ! დასცადეთ ორატორს ლაპარაკი!  
მაგრამ თავმჯდომარის ლაპარაკს ყურს არავინ უგდებდა.

სანდრომ ზატარა ხანს უგდო ყური ორატორების  
ლაპარაკს, გაიგო, რა საგანზედაც იყო კამათი და სიტ-  
ყვა მოითხზა.

— ბატონებო,—დაიწყო სანდრომ ამაღლებული  
ხმით, როდესაც სხვა ორატორებმა ლაპარაკით გული  
იჯერეს და თავმჯდომარემ სანდროს დართო ლაპარაკის  
ნება,—ბატონებო, როგორც სჩანს წერა-კითხვის სა-  
ზოგადოების გაშვების მოხსენებიდან, ჩვენი ქვეყნის  
სხვა და სხვა კუთხეში უნდა დაარსდეს განყოფილებანი  
ამ საზოგადოებისა. რა ზრინციები უნდა ედვას საჩუ-  
ლად ამ განყოფილებებს, ვისკან უნდა შესდგეს ეს...

აქ თავმჯდომარის ზარმა შეაჩერა სანდრო და თან  
მოჭევა შკვანხე სიტყვები თვით თავმჯდომარისა.

— ბატონო ქართველიშვილო, მაგ საგანზე უკვე  
გვექონდა კამათი და საზოგადოების დადგენილებაც არის.

სანდრომ ხმა დასწია და დამნაშავის სახით წარმო-  
სთქვა:—უკაცრავად, ეს არის ეხლა მოგედი... მაშ  
კარგი,—უცბად ისევ ისე აუმილდა ხმა სანდრომ—შე შე  
ვეხები იმ საგანს, რომელსედაც ლაპარაკობდა ჩემს წი-  
ნად ბატონი ხუციშვილი.

— ბძანეთ,—მიუგო თავმჯდომარემ—მხოლოდ მოკ-  
ლეო, თუ შეიძლებოდაც, რადგან საგანი უკვე გამო-  
კვეულია.

— გვეუოფა!.. საგანი გამოკვეულია!... კენჭი  
უყარეთ!—ასტყდა საზოგადოებაში აქა-იქ ვიერილი.

— ბრძანეთ, ბრძანეთ!—უვიროდა ერთი—მიეციო  
ნება, ილაპარაკოს:

— კენჭი უყარეთ, კენჭი!—ჭევიროდა უმეტესობა.


— ბრძანეთ! ბრძანეთ!...

— ბატონებო, ჩემი აზრი ამ საგანზე... დაიწყო  
სანდრომ, როდესაც ხმაურობა ცოტა-ოდნად შესწედა,  
მაგრამ საზოგადოებაში კვლავ გაისმა ხმა მადალი ლაპა-  
რაკი.—საგანი გამოკვეულია!... გვეუოფა! კენჭი! კენჭი  
უყარეთ!..

— ბატონო ქართველიშვილო!—სთქვა დინჯად თავ-  
მჯდომარემ—საზოგადოებას არ უნდა თქვინი მოსმენა.  
ჩემი აზრითაც საგანი გამოკვეულია და ეხლავ კენჭი  
უნდა ვუყარო ამ საგანს.

სანდროს გვერდზე მჯდომმა კაცმა კალთაში წაა-  
ლო ხელი, დასწია და სავარძელში ჩასვა. სანდრო მიუბ-  
რუნდა იმას და აღეგებულის კილოთი დაუწყო ლაპარაკი.  
კრება გაგრძელდა. მეთორმეტე საათი დაიწყო. სა-  
ზოგადოება დაიდალა და არც ერთი საკითხი კამათს  
აღარ იწვევდა. უკვლავ სცდილობდა რამე ნიარად მიეფუ-  
ხენს საქმე, რომ კრება დიდხანს არ გაგრძელებული-





ყო, ხოლო მარტო სანდროს ვერ მოეხელებინა ის გა-  
რემოებს, რომ სიტყვის წარმოთქმა მოუცდა და ეძებდა  
დროს და სვანს, რომ არამც თუ თავისი სირცხვილი  
გამოეკეთებინა, საზოგადოებაში თანაგრძნობა გ. მოეწვია  
და ტაშიც კი დაეკრათ მისთვის, მაგრამ ამისთვის ვერც  
დრო და ვერც სვანნი ვერ ეპოვნა. ბოლოს თავმჯდომარე-  
მემკრება დახურა და საზოგადოება აიშალა. სანდროც  
წამოდგა და სხვებთან ერთად გამოსვლა დააპირა, მაგრამ  
ერთმა ბრწყინვალე აზრმა გაურბინა თავში უცბად შეი-  
ფთხნია, მიიხედა მოიხედა და ხმა მადლა დაიკვირა:

— ბატონებო, ბატონებო, ერთი წამი მამოთმი-  
ნეთ, ერთი წამი... კთხივით, მომისმინეთ!

კარებასკენ მიმავალი საზოგადოება შეჩერდა. უგუ-  
ლამ მოიხედა.

— ბატონებო— დაიწყო სანდრომ— ნება მიბოძეთ  
საზოგადოების სახელით მადლობა გამოვუცხადო ჩვენს  
პატრონულს თავმჯდომარეს...

საზოგადოებაში ტაშის ტემა ასტედა. სანდრომ  
ხმის უმატა და ტაშის ტემა სრულიად დაჭყარა.

— ეს ძნელი და რთული მოვალეობა— ჭეკირდა  
სანდრომ— ჩვენმა თავმჯდომარემ ერთი კვირის განმავლო-  
ბაში შეასრულა ისე...

საზოგადოებაში კვლავ გაისმა ტაშის კვრა თავ-  
მჯდომარე მორცხვად თავს იქნედა. სანდროს სიტყვები  
აღარ ისმოდა, მაგრამ სანდროსთვის ეს სჯიროს ადარ  
იყო, იმან მიზანს მიაღწია თუმცა ეს ტაშის ტემა სან-  
დროს აზრს და სიტყვებს არ ეკუთვნოდა, მაგრამ ხომ  
მინც სანდრომ გამოიწვია ეს ტაშის კვრა, ეს საერთო  
აღტაცება და აღფრთოვანება ამოღეს ხალხისა. სანდრო  
ამითაც კმაყოფილი იყო და დარბაზის კაბეებზე ისეთი-  
ვე მხიარული და კმაყოფილი ჩადიოდა, როგორც სამი  
საათის წინად, როცა კრებაზე მიდიოდა.

სანდრო სხვებთან ერთად გამოვიდა ქუჩაში და რა-  
დგანაც იქით, სადაც ის იდგა, არავინ არ მიდიოდა, გა-  
სწია მარტოდ სანდროსკენ. ნახევარ საათის შემდეგ უკვე  
სახლში იყო. ჭიბიდან გასვლით ამოიღო, შესავალი კარი  
გაღო და ფეხ-აკრეფით, რომ არავის არ გაეღვიძნა,  
როგორც იყო მიაღწია თავის ოთახს და სიათვისებით  
გადახედა გაშლილ სუფთა ქვეშისკებს.

მხოლოდ ახლა იგრძნო სანდრომ დადღიანობა, ფე-  
ხებს ძლივს და ადგამდა და მოდუნებული ხელებით იწყო  
ტანისმომისის გახდა.

დღეებში ჩაწვა, თვალები დახუჭა და მაშინვე ჩა-  
ქინა.

დადღიანს, აღეწილ სახეზე ისევ ის უცნაური ტან-  
ჭვა აღებუჭდა. სანდროს სამუშაო დღე გათავდა. რამდენ-  
ნიმე საათის შემდეგ დაიწყო მუშაობა მუშაობა დღე, რომელიც,  
სანდრომ დაწმუნებული იყო, პირველისაგან არაფრით არ  
განირჩეოდა.

სვ. ყ—ნი.

**ზინაური მიმოხილვა.**

ექვსს ქრისტეშობისთვის დანიშნულია ქარ-  
ველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების კრება.  
ისეთ ერებშიაც-კი, რომელთაც აქვთ საკუთარი სა-  
ხელმწიფოებრივი და მოქალაქობრივი წყობილე-  
ბა, კერძო ინიციატივა, კერძო საზოგადოებრივ  
ორგანიზაციათა მუშაობა სახალხო განათლების ას-  
პარეზზე აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას  
შეადგენს. საკმარისია გავიხსენოთ „განათლების ლი-  
გა“ თან მასეს მიერ დაარსებული საფრანგეთში.  
მით უფრო საჭიროა და ძვირფასია ჩვენთვის ასეთი  
განმანათლებელი საზოგადოება, ხოლო საჭიროება  
საზოგადოებისა, მისი მნიშვნელობის შეგნება თან-  
და-თან უნდა ვრცელდებოდეს მთელ ხალხში. რა-  
მდენადაც საზოგადოებისადმი სიყვარული გაიზრდე-  
ბა ჩვენში, იმდენად მისი მოქმედება გაფართოვ-  
დება და გაღრმავდება. ამ მხრივ ჩვენ საზოგადოე-  
ბას ახალი ხანა დაუდგა. სხვა-და სხვა ადგილებში  
დაარსდა და არსდება მისი განყოფილებანი, სადაც  
ადგილობრივ ძალებს საშუალება ეძლევათ იმუშა-  
ონ სამშობლო განათლების ნიადაგზე. სრული იმე-  
დი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ახალი ხანა ჩვენი  
საზოგადოების ცხოვრებაში მეტად ნაყოფიერი იქ-  
ნება, ამიტომაც საზოგადოებისადმი ყურადღება კი-  
დევ უფრო გაიზრდება, მით უმეტეს, რომ საწევრო  
გადასახადი შესამჩნევად შემცირებულია, სულ სამი  
მანათია. ესეთი გარემოება საფუძველს გვაძლევს  
ვიფიქროთ, რომ ამიერიდან ჩვენი საზოგადოების  
ცხოვრებაში ჩვეულებრივი გულგრილობა მოისპო-  
ბა, მოისპობა ისეთი მოვლენა, როცა პირველი  
კრება თითქმის არასოდეს არ შემდგარა. მეტი სი-  
ფხიზლე, მეტი ყურადღება და მაშინ განათლების  
ასპარეზზე მუშაობა მხნეობაც გაორკეცდება და გა-  
ძლიერდება.

\*  
\*\*

საადგილ-მამული კომისიის ხელ-მძღვანელი  
ალ. ყიფშიძე სახალხო გაზეთში გვამცნობს კომი-  
სიის მოქმედებას. აქვე ის აღნიშნავს, თუ როგორ  
ვერაგულად დაებატრონენ ჩვენს მიწა-წყალს ისინი,  
ვინც თითქო ჩვენდა დასაცველად იქმენ დაპატ-  
რებულნი. (აქ იწყება ყ. სტატია) აი რას სწერს  
ბნი ყიფშიძე:

„საადგილ მამული კომისიამ დაიწყო მოქმედება 1  
ძარტს 1907 წელს და განაგრძობს მუშაობას დღევანდლამდე.  
აზრი კომისიისა ისაა, რომ ხელი შეუწყოს ჩვენებურ,  
ადგილობრივ მკვიდრს, განურჩევლად ერისა და სარწმუნოე-  
ბისა, შეიძინოს საკუთრებად ადგილ-მამული. უფასოდ და  
უხასყიდლოდ კამისია უკეთებს მყიდველს საჭირო საბუთებს,  
აძლევს ყოველ გვარ დარიგებას და უწევს ყოველ გვარ წი-  
ნამძღლოლობას და პატრონობას.

ბევრი ჩვენი მემამულე ისე დავალიანდა და დაძაბუნდა  
უკანასკნელ არეულობის დროს, რომ აღარ შეუძლიან მამუ-  
ლი შეიძინოს და ამის გამო იძულებულია გაჰყიდოს მამული.

საქართველოში აღარსად მოიპოვება თავისუფალი მამუ-  
ლი და უღრანი ტყენი. რაც თავისუფალი, ესე იგი დაუსახ-



ლებელი ადგილი ჰქონდა ხაზინას, დიდხანა დაურიგა ამ 80—90 წლის წინად ჯერ გერმანელებს, შემდეგ სპარსეთიდან და ოსმალეთიდან მოსულ სომხებს, ბერძნებს, რუსეთიდან მოსულ მალაქებს და დუხაბორებს, და მართლმადიდებელ რუსებს. თუ კიდევ რამე მოეპოებოდა ხაზინას ადგილადგილ დარჩენილი ან საძოვარი, ან ტყე და სახნავი, ისიც ამ უკანასკნელ 10—15 წლის განმავლობაში, ჩააბარა მართლმადიდებელ რუსებს და გააშენა მათი სოფლები.

აჲ, რომ დღეს სრულებით აღარ მოიპოვება ჩვენში თავისუფალი ადგილი. დარჩა მამასადამე ის მამული, რომელიც უჭირავს საღალოდ და საჯაროდ ჩვენებურ გლეხს: მესაკუთრეს, დროებით-ვალდებულს და ხიზანს. აი მხოლოდ ამ გამუდმებულ შეიძლება საკუთრებად და უთუოდ უნდა შეიძინოს, თორემ უცხოვან მოსული კაცი იყიდის, დიდ ფასსაც გამოიღებს და მაშინ ჩამოვარდება ჩვენში სწორედ, რომ იტყვიან ქრისტეს ტირილი, რადგან უცხოვან მოსული კაცი საღალოდ და იჯარით ჩვენებურ კაცს როდიღა მისცემს, თვითონ მოხნავს, მოსთესავს და მეურნეობას გაჩაღებს.

თუ ეს მოხდება და რომ ხდება, მართლ ბრმა თუ ვერ დაინახავს ამას, მაშინ ადგილობრივი მკვიდრი შიმშილით ამოვარდება, გადაშენდება და ათას წლოვანი დედალი ჩვენ მამა პაპთ, რომელთაც მართლა რომ სისხლით მოურწყავთ ჩვენი მშობელი საქართველო, ფუჭად და უქმად ჩაივლის და სახელი ჩვენი სამშობლოსი ამოიწლება და წარიხოცება დედა-მიწის პირიდან.

„საადგილ-მამული კომისია“ გაცილებით მეტი ყურადღების ღირსია, ვიდრე მას დღეს აქცევენ, და ჩვენც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კომისიის გასაძლიერებლად ძალ-ღონეს არ დაიშურებენ ისინი, ვისაც მათი გაძლიერება შეუძლია.

\*  
\* \*

გაზეთი „ფონი“ გვატყობინებს ერთს ახირებული აპბავს, თითქო დღევანდელ ოლქის მზრუნველს მოეთხოვოს, რომ სოფლის სკოლებში რუსულ ენის სწავლება პირველივე წლიდან იწყებოდეს და არა აწ მომქმედ 1881 წლის გეგმის თანახმად. მოხელეების თვითნებობას კარგა ხანია შევეჩვიეთ, მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. ოდესმე უნდა ველირსოთ მაინც ისეთ დროს, როცა თვითეულ მოსულის თვითნებობა შეუძლებელი იქნება და რამე წესის მიხედვით ვიარსებებთ. „ფონის“ მიერ გარდმოცემული ცნობა გამართლდა. საჭიროა ახლავე მიექცეს ამას ჯეროვანი ყურადღება და ისეც რუსიფიკაციის სენით გაქვინილი ჩვენი სკოლა მთლად სამშობლო ენის აღმომუხვრელად და გონებრივ ჯალათობის ბუდედ არ გადაიქცეს.

\*  
\* \*

ამ ბოლო დროს, მას შემდეგ, რაც სხვა და სხვა რაზმებმა არა ერთ ადგილას აიკლეს სახალხო წიგნთ საცავები და სამკითხველოები, ხელ ახლა იღვიძებს ხალხში სამკითხველოების გახსნის სურვილი. ბევრ საზოგადოებიდან მოდის თხოვნა სამკითხველოების გახსნის შესახებ. ეს მეტად სიმპატიური მისწრაფება იმედი, საყოველთაოდ გახდება. თუ მეტი ინიციატივა და სიცოცხლის ძალა გამოვიჩინეთ, მაშინ შესაძლო იქნება ახლო მომავალში

სამკითხველოებს რიცხვი გამრავლდეს, ხოლო საჭიროა, რომ ვისაც კი ხალხის განვითარების სურვილი და მისწრაფება აქვს, ყველამ შეერთებული ძალით იმოქმედონ ამ ასპარეზზე.

## რას უნდა გაუფრთხილდეთ!

საქართველოს ტერიტორიის დაცვა დღეს მორიგი და დღიური კითხვაა. სამუდამოდ გვეკარგება ათასწლობით დაცული და სისხლით მორწყული ტერიტორია, მერე იმნაირ ადგილებში, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი კულტურულ ცხოვრების აღორძინებისათვის. ეს ადგილებია კახეთი და ქვემო-ქართლი, ანუ სიღნაღის, თბილისისა და ბორჩალოს მაზრები. ამ ადგილებს მნიშვნელობა აქვთ არამც თუ საქართველოსათვის, არამედ მთელ ამიერ-კავკასიისათვისაც, რადგან ზედ აკრავან თბილისს, ბუნებით მეტად მდიდარნი არიან და, რაც უფრო საგულისხმოა, მათ უჭირავთ ამიერ-კავკასიის შუა-გული, და ვინცა ფლობს ამ შუა-გულს თბილისითურთ, მას ეკუთვნის გავლენა ამიერ-კავკასიაზე. ამიტომ არი, რომ ყველა ასე გაჩქარებით ელტვის ამ ადგილებს, რათა მალე ჩაიგდონ ხელში უბატრონოდ დარჩენილი მიწა-წყალი.

მართლაც და სწორედ ამ სამ მაზრაში მოგველის ტერიტორიის დაკარგვის განსაცდელი. ყველამ კარგად იცის, რომ დასავლეთ საქართველოში ადგილობრივ მკვიდრთათვისაც-კი აღარ არის საკმაო ალაგი და თვით იქაურნი სხვაგან დაეძებენ მიწა-წყალს და თუ მაინც ნაძალადევად ჩაჩხირეს იქ ერთი, ორი სოფელი—ეს სოფლები ვერ შესცვლიან ჩვენ ეტნოგრაფიულ სახეს.

თითქმის იგივე ითქმის ზემო და შიდა ქართლზე. ხოლო იგივე არ ითქმის კახეთზე (სიღნაღის მაზრა) და თბილისისა და ბორჩალოს მაზრებზე, ანუ ქვემო ქართლზე.

თავიანთ მნიშვნელობით ეს სამი მაზრა ორ წილად უნდა გაიყოს: ერთის მხრით—სიღნაღის მაზრა, მეორეს მხრით—თბილისისა და ბორჩალოს მაზრები.

თუ საქართველოში კიდევ სადმე არის თავისუფალი ადგილი, ისევე კახეთშია. იქითვე მიიღტვის, ეს ათი წელია, ჩვენი უმიწაწყლო გლეხობა ზემო იმერეთიდან, რაჭიდან, ზემო ქართლიდან და ოსეთიდან; რამდენიმე ათასმა კომლმა უკვე გააშენა იქ სოფლები და სამამასახლისონი, ჩვენი ტერიტორიის სხვა კუთხეები უხვად დაურიგეს ოსმალეთიდან და რუსეთიდან გადმოხვეწილთ, და ეს კახეთის სათავადო და სახაზინო მიწები ღა დარჩა საქართველოს თავის შეილთა დასასახლებლად. არსად სხვაგან ქართველ გლეხს არ შეუძლია იშოვოს თავისუფალი მიწა საქართველოს ფარგალში. ამ

ნხრივ კახეთი ანუ ქიზიყი, გარედ-კახეთი, შირაქი და ალაზნის ველი ზაქათალამდე ერთად ერთი კუთხეა, სადაც დასახლება ჩვენი გლეხისთვის შესაძლებელია. მიუხედავად ამისა, იმოდენად არის გაძნელებული ჩვენ გლეხთათვის აქ მიწის შეძენა, რომ უკვე ათას კომლზე მეტი რაჭველობა განიფანტა და დასახლდა ჩრდილოეთ კავკასიაში.

მეორეს მხრით, თბილისისა და ბორჩალოს მაზრებში, სადაც უკვე მრავალი უცხოელი ჩამოგვითესლა, უნდა კბილით დავებდაუჭოთ იმ ცოტაოდენ მიწებს, რომელიც კიდევ ჩვენ ხელთ არის. როგორც ვსთქვი, ამ ორ მაზრას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ზრდა-განვითარებისთვის.

თანამედროვე ცივილიზაციის გამოძახებული ქალაქია, იგი საზოგადოებრივ ცხოვრების ტენი და მაჯაა. ქალაქია მბრძანებელი სოფლისა. ამისათვის არის, რომ ერი, რომელსაც სწადია აღორძინება, ცდილობს საკუთარი ქალაქები იქონიოს, მეტადრე იმისთანა ქალაქი, რომელიც იქნება შემერთებელი ცენტრი. ჩვენებმა რომ ეროვნულად გამოიღვიძეს, პირველ ყოვლისა ეცადნენ გამოეგლიჯათ გერმანელთაგან თავიანთი დედა-ქალაქი პრაგა, კარგად ესმოდათ, რომ უამდევდაქალაქოთ ისინი ვერც შეერთება-შეკავშირებას მოახერხებდნენ და ვერც ეროვნულ-კულტურულ განვითარებას შესძლებდნენ. რაც ჩვენებისთვის პრაგაა, ის ჩვენთვის თბილისია. მხოლოდ თბილისს შეუძლია შეაკავშიროს, შეაერთოს მთელი ქართველობა, და ამიტომ აქვს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა თბილისისა და ბორჩალოს მაზრებს, რადგან ეს ორი მაზრა ზედ აკრავს ჩვენ დედა ქალაქს, მკიდროდ არს დაკავშირებული მასთან ეკონომიურად და ამ ორი მაზრის ეტნოგრაფიულ შედგენალობას ექნება დიდი გავლენა თბილისის ეტნოგრაფიულ შედგენილობაზედაც. დაკარგვა ამ მაზრებისა არის თბილისის დაკარგვაც, ხოლო თბილისის დაკარგვასთან ათჯერ უფრო გაძნელება ქართველ ხალხის ეროვნული შეკავშირება და ფართო ეროვნული განვითარება.

**ივ. ციციშვილი.**



**მეღვინეობისა და მეფენახეობის კოოპერაციები.**

**I.**

დასავლეთ ევროპაში კაი ხანია ქემშარიტებად აღიარეს, რომ კოოპერაცია საუკეთესო ფორმაა მეღვინეობის კრიზის წინააღმდეგ და საზოგადოდ სასოფლო სამეურნეო წარმოებისა და აღებ-მიცემობის ყველა ხელის შემშლელ პირობათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას იქ მრავალჯერ გადაურჩენია აუარებელი დამოუკიდებელი

წვრილი და საშუალო მეურნე, რომელთაც აუცილებელი დალუბვა მოელოდათ დღევანდელ რთულ ეკონომიურ ბრძოლაში.

„კოოპერაცია—ნაყოფია უკიდურესი გაჭირვებისაო“,—ამბობს ავტორი „მეღვინეობის კოოპერაციათა“—ა. ბერუე, და მართლაც პირველ კოოპერაციის წარმოშობა ასეთია.

პირველად კოოპერაციები გაჩნდნენ გერმანიაში, მდინარე არას (რენის ერთის) ხეობაში. იქ რამდენიმე ათეული სოფელია, რომელთა მცხოვრებნიც ძველ დროიდანვე სპეციალურად მევენახეობას მისდევდნენ. ღვინო კაი თვისებისა იყო, და გასავალიც კარგი ჰქონდა. ამიტომაც მცხოვრებნი კეთილ დღეობას განიცდიდნენ. მაგრამ მე-60 წლებში, როდესაც რკინის გზები გამრავლდა, გერმანიის ბაზრები გაივსო დაბალი ხარისხის, მაგრამ იაფ-ფასიან იტალიურ და სამხრეთ-ფრანგულ ღვინოებითა, რომლებმაც სულ მთლად გადაევეს ბაზრებიდან ადგილობრივი ღვინოები.

კუდი დრო დაუდგათ არას ხეობის მცხოვრებთა. ჯერ ღვინის ფასებმა დაიკლეს, მერმე სულ აღარ იყიდებოდა. საქმე იქამდის მივიდა, რომ რაც ახალ-გაზღობა იყო, თითქმის სულ გასცილდა სოფელს და ქალაქებში გადასახლდა, დანარჩენი მცხოვრებნი კი საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდნენ.

მაგრამ გაჭირვებამ ხერხის სწავლებაც იცის. სოფელ მაიშოსის გლეხებს კოსმანსა და იუსტინს, მევენახეებს, დაებადათ აზრი ყველა მევენახის შეერთებისა ერთ მკიდრო ორგანიზაციად აუტანელ პირობათა წინააღმდეგ საბრძოლველად. ჯერ რასაკვირველია უნდობლად მოეკიდნენ გლეხები ასეთ წინადადებას, არ დასთანხმდნენ, მაგრამ საქმის დამწყებთა ბეჯითობისა და ენერჯის წყალობით 1868 წელს მაინც შესდგა პირველი ამხანაგობა მევენახეთა ს. მაიშოსში; ამხანაგობაში პირველად მხოლოდ 50 კაცი შედიოდა, მერე კი წევრთა რიცხვი 175-მდე ავიდა. ბევრი დაბრკოლება შეხვდა ამხანაგობას, დიდი ბრძოლა დასჭირდა ღვინის ვაჭრებთან, რომლებმაც პირი შეჰკრეს არ ეყიდათ ხოლომე ამხანაგობის ღვინოები, ბევრჯერ სრულის დალუპვის კარზედ იღვა ამხანაგობა, მაგრამ საქმის დამწყებნი ისეთის შეუდრეკელის ენერჯით მუშაობდნენ, რომ ამხანაგობა ბოლოს და ბოლოს გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლიდან; იგი არა მარტო საბოლოოდ დამკვიდრდა, არამედ სხვა ქვეყნებშიაც წაჰბადეს მის მაგალითს.

როდესაც ასეთი მაგალითი დაინახეს, მაინშოსის ამხანაგობას მალე სხვა სოფლებმაც მიჰბადეს. 1900 წელს კი არას ხეობის მეღვინეთა ამხანაგობა უკვე 26 იყო. ეხლა ყველა ეს ამხანაგობა შეერთებულია და ეწოდება სახელად „კავშირი არას ხეობის მეღვინეების ამხანაგობათა“. 1500 მეტი წევრი ჰყავს ახლა ამ კავშირსა.

არას ხეობიდან კოოპერატიული მოძრაობა ჯერ მეზობელ მეღვინეობის რაიონებს მოედო, შემდეგ მთელს გერმანიაში გავრცელდა. ამხანაგობათა ორგანიზაცია მომეტებულად გაძლიერდა მე-90-ე წლების ბოლოს, რადგანაც მეღვინეობის კრიზისი ძლიერ გამწვავდა 1893—1898 წლ.

1907 წელს მეღვინეთა ყველა კოოპერატივის ჩაოქრობა გერმანიაში იყო 174-მდე, და შესდგებოდა ამხანაგობათა სარაიონო კავშირთაგან.

რასაკვირველია, მეღვინეობის კოოპერატიულმა ორგანიზაციამ დიდი გავლენა იქონია მევენახეთა ეკონომიურ მდგომარეობაზე. ვენახებს უკეთ უვლიდნენ, მოსავალი უკეთესი მოდიოდა, ღვინის ხარისხი ამადლდა და კარგ ფასდაც ჰყიდდნენ, მიწის ფასმაც აიწია და გახდა ორჯერ-სამჯერ მეტად. გერმანიაში ეხლა მეღვინეობის ბევრ რაიონში ისეა გავრცელებული და მიღებული კოოპერაცია, რომ გლეხები თითქმის ყველანი კოოპერაციების წევრებად არიან. მაგალითად, მაინშოსის ამხანაგობაში სოფლის ყველა მოსახლე შედის, ორს გარდა. მთელს არას ხეობაში ასევეა გავრცელებული მეღვინეობის კოოპერაცია.

სხვა ქვეყნებშიაც საინტერესოა კოოპერაციათა მდგომარეობა. სანამ გერმანიის მეღვინეთა კოოპერაციების ორგანიზაციაზედ ვილაპარაკებდეთ, ორიოდ სიტყვა ფრანგულ და იტალიურ კოოპერაციებზედაც ვსთქვათ.

საფრანგეთში, სადაც მთელს ქვეყანაზედ ყველაზედ მეტი ღვინო მოდის, კოოპერატიული ორგანიზაციები ძლიერ სუსტად არიან განვითარებულნი და უმეტეს შემთხვევაში ასოციაციის სრულიად ელემენტარულ ფორმებს ეკუთვნიან.

აქ კოოპერაციის იდეას უპირველეს ყოვლისა ანხორციელებენ სასოფლო-სამეურნეო სინდიკატები, რომლებიც შუამავლობის დახმარებას უწევენ მევენახეებს: ეხმარებიან ღვინის გაყიდვაში, შოულობენ ღვინის ბაზრებსა, იარმუკებსა, ბირჟებსა, ხსნიან სააგენტოებსა, გამოჰფენენ ხოლმე ღვინის ქაშნიკებსა; ამასთანავე სინდიკატების როლი ის არის, რომ თავის წევრთა ღვინოების შესახებ გაზეთებში სწერენ განცხადებებსა, ჰგზავნიან ღვინის ქაშნიკებსა და პრეს-კურანტებსა. დაკვეთილ ღვინის მომზადებაზედ კი თვითონ მევენახე ზრუნავს თავისავე მამულში, მხოლოდ სინდიკატი თვალყურს ადევნებს, რომ შეკვეთის პირობანი კარგად, სწორად და კეთილ-სინიდიისიერად იყვნენ აღსრულებულნი.

არის აგრეთვე სინდიკატებს გარდა მეღვინეობის სპეციალური კოოპერაციები, მაგრამ მათი როლიც მხოლოდ ის „ლონისიებიანი“-ა, რომლითაც კმაყოფილდებიან ზემოხსენებული სინდიკატები. კლიენტებად კი ასეთ ორგანიზაციებისა არიან უმეტეს ნაწილად მომხმარებელი საზოგადოებანი და სინდიკატები.

მარტო ღვინის გასაღებაში არა შევლიან მევენახეებს სინდიკატები და კოოპერაციები. ისინი აწყობენ აგრეთვე სამაგლითო ბალებს ამერიკულის ვაზისას, იძენენ მეღვინეობისათვისა და მევენახეობისათვის საჭირო იარაღებსა და მასალას, აწყობენ საერთო მოხმარებას გუთნებისას, ნიადაგის გასაღრმავებელ იარაღებისას, პულვერიზატორებისასა და სხვა.

მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში იწყება საფრანგეთში კოოპერატიული მოძრაობა მეღვინეთა შორის უფრო და უფრო გაძლიერებულ კრიზისის გამო, და ეხლა აწყობენ გერმანიის ტიპის კოოპერაციებს, რომელთა მიზანი არა მარტო საერთო გაყიდვაა ღვინისა, არამედ ღვინის საერთო წარმოებაც. („თავისუფალი მეღვინეები“ მაროსსანის კომუნისა ჰეროს დეპარტამენტში, ლავინისა, და რამოდენიმე სხვაგან).

იტალიაში უფრო გავრცელებულიც არის კოოპერაცია და უფრო განვითარებულიც, ვიდრე საფრანგეთში. იგი დაიწყო 1884 წელს, როდესაც ფლორენციის ახლოს გაიხსნა პირველი „საერთო მეღვინეობა“ (Cantina Sociale). მაგრამ ამ პირველ მაგალითს ცოტა წამბაძველი აღმოუჩნდა, და მხოლოდ წარსულ საუკუნის მე-90-ე წლებში ძლიერდება კოოპერატიული მოძრაობა და არსდებიან ახლნი „საერთო მეღვინეობანი“. ამ მოძრაობას ხელი შეუწყვეს უმთავრესად მოსიარულე აგრონომებმა („მოსიარულე კათედრა“), საზოგადო მოღვაწეებმა და პრესამ, რომელთაც საზოგადოდ დიდი ღვაწლი მიუძღვისთ იტალიაში კოოპერატიულ მოძრაობის გავრცელების საქმეში. ეხლა იტალიაში რამოდენიმე ათეულია ღვინის კოოპერაციათა და „საერთო მეღვინეობათა“, რომელთა ორგანიზაცია საერთოდ გერმანულ ტიპის ორგანიზაციას ემსგავსება. უკვე არსდებიან აგრეთვე კოოპერაციათა კავშირები, რომლებსაც სიზნად გაუხდიათ ახალ კოოპერაციათა დაარსება, აგრეთვე ამხანაგობათაგან ნაწარმოებ ღვინოებისათვის ბაზრის შოვნა.

გარდა სპეციალურ მეღვინეობის კოოპერაციათა, მევენახეებს დახმარებას უწევენ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სინდიკატები, რომლებიც აწყობენ ღვინის წარმოებასა და გასაღებას, მაგრამ ასეთს ფორმას საერთოეო დახმარებისას არა აქვს მომავალი, რადგანაც ამ საქმეს ისინი, ისე, სხვათა შორის ემსახურებიან და საშუალება არა აქვსთ ფართოდ დააყენონ იგი.

ავსტრიაში მეღვინეთა კოოპერაციები გაჩნდნენ წარსულ საუკუნის მე-90-ე წლებში. მათი ორგანიზაცია გერმანიის „ვინცი-ფერენების“ ტიპის ორგანიზაციაა. აქ ჯერ ცოტაა ასეთი კოოპერატივი, მაგრამ ფორმა მათი ორგანიზაციისა ერთი უმჯობესთაგანია.

სვ. ვახვახაშვილი.

(შემდეგი იქნება).



# ერის უფლება.

## VIII

(დასასრული)

კულტურული თვალთა ხედვით თუ გავსინჯეთ ჩვენი უფლება,—მგონია ამ მხრითაც უნდა გვქონდეს სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლება. ჩვენი ისტორია ხანგრძლივი და მდიდარია მრავალის დიდებულის ფაქტებით. მართა ის რათა ღირს, რომ მეცხრამეტე საუკუნემდე ვიცავდით ქრისტიანულ სჯულსა და კულტურას ათასის წლოებითა, და ერთად ერთი ვიყავით ამ ბრძოლაში მილიონობით მოზღვავებულ მუსულმანთა წინააღმდეგ. სულ რომ არ ჩაგველაპს და მხოლოდ მესამედი საქართველოსი გაამაჰმადიანეს,— ისიც კარგია, ისიც დიდი ისტორიული გმირობაა ქართველთა.—დასაბამიდან გვქონია ჩვენი ანბანი, მწერლობა საეკლესიო და საერო, მონაწილეობას ვიდებდით ფილოსოფიურსა და მეცნიერულს მოძრაობაში, რომელიც ევროპაში არსებობდა,—წარმოგვიშვა ისეთი ფილოსოფოსები, როგორიც იყო პეტრიწი; ისტორიკოსები, როგორიც იყვნენ ეფრემ მცირე, პატარა გიორგი, დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი და სხვანი; —ლიტერატორები, როგორიც იყვნენ რუსთველი, შავთელი, ჩახრუხაძე; — გვქონდა აუარებელი თარგმანი სპარსულიდან, ბერძნულიდან, სომხურიდან, გვქონდა ძლიერ განვითარებული დარგები ხელოვნებისა;—მეთვრამეტე საუკუნეში ახალ ევროპიულ კულტურას ვეწაფებოდით, რომ რუსებს არ შეეშალათ ხელი,—დიდი გონებრივი მოძრაობის ხანა იყო ჩვენში ანტონ კათალიკოზის ხანა,— მეცხრამეტე საუკუნეში სხვა პატარა ერებს სულიერ კულტურულ შემოქმედებაში თუ გადავაქარბეთ, თორემ არ ჩამოვრჩენილვართ;— ჟამთა ვითარებაში გვქონდა რთული სოციალური წყობილება: სამართალი, მეურნეობა და სხ. და თუ ასეთი ატტესტატი საჭიროა უფლების მოპოვებისათვის, ჩვენც შეგვიძლია გვარიანი ატტესტატი წარვადგინოთ, ოღონდ კი გვაჩვენონ—ვის წინაშე? ვინ არიგებს უფლებასა და ვინ ითხოვს ასეთს ატტესტატებსა? — „პატრიარხი“ — კაცობრიობა?.. მაგრამ აკი ზემოდა ვსთქვათ,—სამართალს ავკარგიანობა და კულტურისნობა არ შეეხება,—სამართალმა არსებული ერი თავის ტერიტორიით უნდა მიიღოს თვის მფარველობის ქვეშ და დაიცვას მისი უფლებანი. ამ მხრით, მგონი, ჩვენც გვაქვს უფლება უზენაესს, მართალ სამართალს მივმართოთ, და გარდა რუსეთის მთლიანობისა და ცენტრალიზაციის დამცველთა, გარდა რუსეთის სახელმწიფო იდეის დამცველთა, მგონი ვერავინ წაგვართვის თეორიულად მაინც ეს უფლება, როგორც სოფიზმები არ მოიყვანოს ჩვენს წინააღმდეგ.

მაგრამ ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ ამ ბოლო დროს საქართველოს ნახევარი, აღმოსავლეთის საქართველო პირდაპირ იღუპება. ბევრი მამული გაიყიდა და აუარებელიც გაიყიდება უცხო ელემენტებზედ. მაშასადამე % ქართველთა შედარებით უცხო ელემენტებთან შემცირდება, და უფრო და უფრო ნაკლები იქნება 50% ზედ; ეს კი იმის მომასწავებელია, რომ, მაგალითად, 40% ან ნაკლებზედ თუ ჩამოვედით,—მოისპობა ჩვენი უფლება ამ ნახევარ და საუკეთესო საქართველოს ნაწილში! ტერიტორიის დაკარგვას უსათუოდ მოჰყვება დაკარგვა კულტურისა, ეროვნული თავისებურებისა, არარად ვიქცევით,—არარაობა კი სამართლის საგანი არასოდეს არა ყოფილა.

დღეს საქართველო კიდევ არსებობს, მაგრამ ტენდენცია არარაობისაკენაა მიმართული. ჩვენზეა დამოკიდებული რომ ამ ტენდენციას წინააღმდეგი მიმართულება მივსცეთ.

მაგრამ ჩვენ სხვა უფლებაც გვაქვს,—უფლება კანონიერი, დაწერილი და ფაქტობრივად მტკიცებული რუსეთის იმპერატორთაგან. ეს უფლება ისეა ყველასაგან ცნობილი, რომ მაზედ ვრცლად ლაპარაკი არა ღირს. საჭიროა მხოლოდ მოვიგონოთ იგი. ბრძოლით დასუსტებულმა საქართველომ რუსეთს მიმართა საშველად, ერთ-მორწმუნე ერსა, რომ დაეცვა იგი მუსულმანთა თავგასულობისაგან. მეფე ერეკლე II-მ რუსეთის იმპერატორისათან, ეკატერინე II-სთან დასდვა ხელ-შეკრულება 1783 წელს. სადაც აღნიშნული იყო, რომ საქართველოში მეფობაც რჩებოდა და სრული ავტონომიური მმართველობაც; მხოლოდ რუსეთის პროტექტორიტი იყო აღიარებული. შემდეგ იმპერატორმა პავლე პეტრეს ძემ 18 იანვრის 1801 წლის მანიფესტში იგივე განიმეორა, აგრეთვე ალექსანდრე პირველმა 12 სექტემბერს 1801 წელს; ხელ-შეკრულების რამოდენიმე პუნქტი გამოსცვალეს მხოლოდ, მაგრამ საუბედუროდ ხელ-შეკრულების პუნქთა გამოცვლას ზედ მოჰყვა ოკუპაცია საქართველოსი და ბოლოს მისი რუსეთის გუბერნიებად გადაქცევა. „ამით, ჩვენის იმპერატორის სიტყვით ვაცხადებთ, რომ საქართველოს სამეფოს საუკუნო შეერთების შემდეგ ჩვენს სამეფოსთან, დატულ იქნება ჩვენ საყვარელ ახალ და ერთგულ ქვეშევრდომთა და მათ სამფლობელოთა ყველა უფლება და უპირატესობა და საკუთრება, რომელიც თვითოეულს ეკუთვნის“—ო... (იმპერატორ პავლეს მანიფესტი 18 იანვარს 1801 წ.).—აკ, როგორცა ვხედავთ, კიდევ არის აღიარებული საქართველოს არსებობა.—შემდეგ 12 სექტემბერს 1801 წელს ალექსანდრე პირველის მანიფესტში უფრო ნათლადა სჩანს, თუ როგორ აპირებდნენ ხელ-შეკრულების პატივის-ცემასა. „ავედით რა სრულიად რუსეთის ტახტზედ, სწერია მანი-



ფესტში, ჩვენ ვიხილეთ საქარველოს სამეფო უკვე შეკრებულა რუსეთთან, რაიცა 18 იანვარს 1801 წელს ყველას ემცნო... არა ძალის მოსამატებლად, არა ანგარებით, არა ისედაც მთელს ქვეყანაზედ უდიდესის იმპერიის გასაფართოვებლად ვიდევთ თავს საქართველოს სამეფოს მართვა-გამგეობა. ერთად ერთი ღირსება ჩვენი და ადამიანობა გვაკისრებს უზენაესს მოვალეობას დაგამკვიდროთ საქართველოში მმართველობა, რომელიც მართლმსაჯულებას განამტკიცებს... მოვიწვევთ რა თქვენთაგან (ქართველთაგან) ამორჩეულებს ნდობითა და ღირსებით აღჭურვილთა“... ამგვარად საქართველო უკვე „შეერთებული იხილა“ იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა. მაშინ როდესაც 1783 წლის ხელ-შეკრულება მხოლოდ პროტექტორატს ამტკიცებდა და პავლე პირველის მანიფესტი კი იმასავე იმეორებდა, ყველა უფლებათა და უპირატესობათა გარანტიას პირდებოდა არა თუ საქართველოს, არამედ მის სამფლობელოთაც, — შეერთება პავლე პირველის მანიფესტში და ალექსანდრე პირველის მანიფესტში, ცხადია, ერთი და იგივე არ არის. — აქედან იწყება დარღვევა საერთაშორისო ხელ-შეკრულებათა ჩვენსა და რუსეთს შორის. არას ვიტყვით იმაზედ, თუ რამდენჯერ დარჩა ხოლომე მოტყუებული ერეკლე მეფე რუსებისაგან, რამდენჯერ გადაიმტერა რუსეთთან დადებული ფიცის ერთგულობით ოსმალები, სპარსელები და სახანოები, რომლებთანაც საქმე უკვე მოგვარებული ჰქონდა. არას ვიტყვით საქართველოში მომხდარ მღელვარებაზედ, როცა ყოველივე ზემოხსენებულის აზრს მიხვდა მაშინდელი საუკეთესო ქართველობა. მეფობის მოსპობაც და საქართველოს ტახტის მემკვიდრეობის დევნაც იწყეს. ამას მოჰყვა აჯანყებანი, რუსებისაგან აკლება მთელი საქართველოსი, მთელი საშინელი ტრაგედია ჩვენის პოლიტიკურის სიკვდილისა, რამაც გამოიწვია მთელი ჩვენი მაშინდელი განხრწნილება და ოდნავ კიდევ დარჩენილი გმირობაცა...

მხოლოდ ერთი რამ კიდევ ახსიათებს ალექსანდრე პირველის მანიფესტსა და არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ.

12-ს-ვე სექტემბერს, 1801 წელს, იმპერატორმა ხელი მოაწერა „საქართველოში მართვა-გამგეობის შესახებ დადგენილებასა“. იქა სწერია: მთავარ-სარდალი და მთავარ-მართველი და აგრეთვე „უზენაესი საქართველოს მთავრობა“ უნდა იყოს თბილისში და უნდა შეადგენდეს „საქართველოს მთავრობასა“ო.

„უზენაესი მთავრობა“ შესდგება „ოთხი ექსპედიციისაგან“: 1) ექსპედიცია „აღმასრულებელ საქმეთა“, 2) „სახაზინო და სამეურნეო საქმეთა“, 3) „სისხლის სამართლის საქმეთა“ და 4) „სამოქა-

ლაქო საქმეთა“. ერთის გარდა, აქ მხოლოდ ამორჩეული ქართველები უნდა ყოფილიყვნენ.

„სახოგადო კრება უზენაესს ქართულ მთავრობისა არის ის ადგილი, რომელიც იღებს აპელაციებს ექსპედიციებისას, და საბოლოოდ სწყვეტს საქმეებს ხმის უმეტესობითა“ო.

ეს უზენაესი მთავრობა, ანუ ავტონომია კიდევ დარჩა მაშასადამე ალექსანდრე პირველის მანიფესტშიაც. მაგრამ არც ეს აგვისრულეს, თუმცა 1783 წლის ხელ-შეკრულების მე-12 მუხლში პირდაპირ ეწერა: „ეს ხელ-შეკრულება საუკუნოდ არის დადებული. მაგრამ თუ საქმის გამოცვლა საჭირო იქნება, ან ურთი-ერთის სასარგებლოდ მისამატი რამე იქნება, — აღსრულებულ იყოს ყოველივე ესე ურთი-ერთის შეთანხმებითა“—ო.

როგორც ვიცით, არც ერთი მუხლი არ შეუსრულებია რუსეთს, რაც ხელ-შეკრულებაში ეწერა. 1783 წლის მანიფესტში პროტექტორატი იყო აღნიშნული, — სამაგიეროდ მუსულმანები კიდევ უფრო გადავიმტერეთ, რადგანაც, როდესაც ჩვენ ფიცი შევუსრულეთ რუსეთსა, და ამიტომ მუსულმანები კბილებ აღესილები გამოელაშქრნენ ჩვენსკენ, — რუსებისაგან არავითარი დახმარება არ მიგვიღია. პირიქით, გვიღალატეს და დასტოვეს ერეკლე II უმწეოდ. 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტით საქართველოს იერთებენ, მაგრამ მეფობა მაინც რჩება საქართველოში, პოლიტიკურად სრულიად არ ვისპობით. მაგრამ ამასთანავე საქართველოს ეკატუბაცია მივიღეთ. იმავე წლის 12 სექტემბრის მანიფესტით კი საქართველო უკვე სრულიად შეიერთეს, შემდეგ მეფობაც მოსპვეს და ბრძანებას უგზავნიდნენ თავიანთ სარდლებს საქართველოში — გადაესწყვიტეთ, საქართველო გუბერნიებად უნდა გადავაქციოთო. მოსპვეს გარანტიაც ავტონომიისა, ყველა ეროვნულ უფლებათა და მთელი ასის წლის განმავლობაში ქვეყანამ უწყის, რაც თავს დაგვატყდა.

რითი შეუძლია ვისმეს იმართლოს თავი საერთაშორისო სამართლის წინაშე, როდესაც დოკუმენტები პირდაპირ აღნიშნავენ სამართლის სრულ დარღვევასა ერთის მხრის მიერ? — ან რა უფლებით გველაპარაკებიან სამართლის ფილისტრები, — თქვენი ხელ-შეკრულებანი საბუთებად არ გამოდგებიანო, ძველი საბუთების ძებნა სასაცილოაო და სხვა? — მართალია ძალის წინააღმდეგ არც სამართალი სჭრის ხშირად, არც საბუთი, მაგრამ კიდევ და კიდევ განვიმეორებთ ალფრედ ფულლიეს სიტყვას, — მილიონ ქურდს მხოლოდ უფრო მეტი ძალა აქვს, მეტი სამართალი კი არასოდეს.

ჩვენც სამართლის წინაშე ვიმართლებთ თავსა, ვეძიებთ ჩვენს უფლებასა, და ვპოულობთ კიდევც, როგორც უზენაესს, იდეალურ საერთაშორისო სამართლის წინაშე, ისე კანონიერ, მომქმედ საერთაშორისო სამართლის წინაშე, — თეორიულად მაინც.


რაც შეეხება ჩვენ უფლებათა განხორციელებ-



ბას, რეალურ მოპოვებას,—მართალია ეს საკითხი სულ სხვა სფეროში ტრიალებს, მისი გადაწყვეტა ჩვენი ძალისაგან არის დამოკიდებული, მაგრამ მაინც ყოველთვის ვიტყვი, —რომ კიდევ დაახლოვდეთ, უფლებების მქონე, თვით იდეა მართალ სამართლისა არ მოკვდება,—იგი ოდესმე გაიმარჯვებს. ამის მაგალითი ბევრი ყოფილა ისტორიაში და ეხლაც არის. მოწინავე კაცობრიობის აზრი უკვე აღიარებს ერის უფლებასა თეორიულად მაინც, იდეა ერთაშორის მართალ სამართლისა ფებს იკიდებს ადამიანთა აზრში, როგორც იდეა უბრალო სამართლისა, და შეიძლება შორს არ იყოს ის დრო, როდესაც პირველისათვის ისევე თამამად და მკაცრად გამოვა ადამიანის სინიდისი, როგორც მეორესათვის გამოვიდა.

ჩვენც, ქართველებიც არ დავრჩებით ამ საერთაშორისო მოძრაობის გარეშე. „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნს ხმელსა ნედლადა“, სთქვა რუსთველმა, და თუ ერთ ხელში „მართალი სამართალი“ დავიჭირებთ და მეორე ხელში ძალა, დამცველი სამართლისა სახელმწიფოთა უსამართლობის წინააღმდეგ, რაიც ახასიათებს ერთა კეთილშობილურ მისწრაფებას თავისუფლებისადმი, შეიძლება ჩვენც გვეშველოს რამე, შეიძლება ჩვენც დავიჭიროთ ისევე ძველი საპატიო ადგილი ერთა შორის, რომელთა რიცხვიდან ისტორიულმა უსამართლობამ ასე უსრნიდისოდ გამოგვრიცხა, და ისევე გავანდლოთ ჩვენი ეროვნული არსებობის გამხმარი ხე, ობლად რომა სდგას ძალ-მომხრეობისა და უსამართლობის უდაბნოში.

Baton.



უცხოეთის მიმოხილვა

**ბაუჯეტის უარყოფა ინგლისში.** ინგლისის ზემო პალატამ უარყო ქვემო პალატის მიერ მიღებული და დამტკიცებული ბიუჯეტი. აგერ ორასი წელიწადი გადის, რაც ინგლისის კონსტიტუციის ისტორიაში ასეთი მაგალითი არ მომხდარა. წერილობითი კონსტიტუციის ძალით ლორდთა პალატას, რასაკვირველია, უფლება ჰქონდა არ მიეღო ქვემო პალატის დადგენილება, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ინგლისის პარლამენტის ცხოვრება უფრო ჩვეულებით კანონმდებლობას ემორჩილება ვიდრე წერილობითსა, რომ ინგლისელი უფრო ტრადიციითა და ძვალ რბილში გამჯდარ ზნე-ჩვეულებით სცხოვრობს ვიდრე ნაწერ-კანონით. ამიტომაც არის, რომ ტრადიციის დარღვევა ინგლისელებმა თავიანთ ძირითად კანონების დარღვევად მიიჩნიეს, ეს შემთხვევა ხელზედ დაიხვიეს და ლორდთა პალატის სამუდამო გაუქმების საბაბად გაიხადეს. მერე რამ გამოიწვია ასეთი ძირითადი უთანხმოება, განხეთქილება და ურთიერთობის გამწვავება სახელმწიფო მანქანის ორ მთავარ ნაწილისა, რომელნიც დღემდის დიდის თანხმობითა და ერთსულოვანებით მუშაობდნენ? მთავარი მიზეზი ორია. ჯერ ერთი, ქვემო პალატის მიერ მიღებული ახალი კანონი საადგილ-მამულო

გადასახადის მომატების შესახებ, მეორე—ორი უკიდურესი მიმართულება შესახებ საეკონომიკურ პოლიტიკისა ახალი კანონი საადგილ-მამულო გადასახადების მომატების შესახებ განსაკუთრებით ლორდებისა და მდიდარ მემამულეთა წინააღმდეგ არის მიმართული. ეს სამართლიანი კანონი ლორდებმა უსამართლოდ მიიჩნიეს და ქვემო პალატას ბიუჯეტის უარყოფით გადაუხადეს სამაგიერო. მეორე მიზეზი განხეთქილებისა—პროტექციონიზმი თუ თავისუფალი ვაჭრობა—დიდი ხნის განმავლობაში დღე-ღამე იყო ორ მთავარ პარტიისა. დღემდე ინგლისის ვაჭრობა-მრეწველობას ქიშპობას ვერავინ უწევდა, რადგან ინგლისის საქონელი თვითონვე იფარავდა თავის თავს ქიშპობისგან თავის ხარისხით. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ამერიკისა, იაპონიისა და უფრო კი გერმანიის საქონელმა იმდენად აიწია, რომ ევროპაშიაც და ინგლისის კოლონიებშიაც კი შეიქრა და ბევრ ადგილიდან გამოდევნა ინგლისის საქონელი. ლორდები ინგლისის მრეწველობის ხსნას ისევე ბაჟების შემოღებაში ეძებენ და დაჟინებით თხოულობენ პროტექციონიზმის აღდგენას.

ორივე პალატის დავაში ჩაერთა ინგლისის მეფე, რომელმაც გადასწყვიტა წრევანდელ სესიის დათხოვნა. ამით, რასაკვირველია, არ თავდება საუკუნოებში შექმნილი შუღლი, პირიქით, შეიძლება მხოლოდ ეხლა იწყებოდეს დასაწყისი დასასრულისა, რომელიც ძალიან დიდხანს გასტანს და ძირადად აამღვრევს ინგლისის შინაურ ცხოვრებას.

\* \* \*

**ბალკანეთის ფედერაცია.** მივიწყებულ სლავიანოფილთა მივიწყებული ოცნება კვლავ გამოცოცხლდა. ძლივს გაჰქრა ბუნდოვანი აჩრდილი სრულიად სლავიანთა კავშირის შესახებ და მის მაგივრად თავი წაბოყო სერბიისა, ბულგარეთისა და ჩერნოგორიის ფედერაციამ. შარშანდელი მწვავე სილა აესტრო-ჰუნგრეთისა დღესაც ვერ მოუხნელებიათ სლავიანებს, რომელთაც ვერ იქმნა და ვერ ეღიროსათ შეერთება, ერთმანეთის ზურგის მიცემა და გერმანელთა ტალღის შეჩერება. ან კი როგორ ეღიროსებათ. ჩეხები თავიანთ სამეფოს აღდგენაზე ფიქრობენ და დანარჩენ სლავიანებისთვის არა სცალიათ, პოლონელები კი უფრო აესტრიას უჭერენ მხარს და უფრო მისგან მოელიან ხსნას, ვიდრე მონათესავე რუსეთისგან, რომელიც ამ საქმეში ერთი ხელით გულმოდგინეთ ანგრევს იმას, რასაც აკეთებს მეორე ხელით. შარშან მოტყუებულ სერბიას თავისი პატარა მეზობლის ბულგარეთისა უფრო სჯერა ვიდრე რუსეთისა, რომელიც საქმეში პირდაპირ არ ერევა, მაგრამ შორიდან ცეცხლს უკეთებს და სცდილობს როგორმე ხორცი შეასხას ბალკანელ სლავიანთა კავშირის იდეას. ამას წინათ ბულგარეთის მეფე ზედი-ზედ ორჯერ ეწვია თავის მეზობელ სერბიას და საძირკველი ჩაუყარა მომავალ ოფიციალურ ხელშეკრულობას. მაგრამ გერმანელებიც ფხიზლობენ და ცდილობენ მომავალ ფედერა-

ციას უკანდან გაუჩინონ მტერი. ოსმალეთი აღმოცერად უყურებს თავის მეზობელთა კავშირს და მზათ არის ხელი გაუწოდოს ავსტრიასა და გერმანიას, რომელთაც ლათინური რუმინიაც მხარს აძლევს და ჰპირდება დახმარებას. სწორედ რომ გაუგებარი კომბინაცია ხდება. ოსმალეთი, შარშან ავსტრიის მიერ დაჩაგრული და დაბრყვიებული ოსმალეთი, რომელსაც ერთი ხელის მოქნევით ორი უშველებელი პროვინცია ჩამოათალეს, ღღეს უმეგობრდება გუშინდელ მტერს და სამუდამოთ ივიწყებს გუშინდელ შეურაცხყოფას თუ ბალკანეთის ფედერაცია მართლა განხორციელდა ამ ახლო ხანში ხელახლად უნდა გამოიჭრას ევროპიელ მტერ-მოყვარეთა რუქა. ერთის მხრით შეკავშირდებიან რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი, ბალკანელთა წვრილი სამეფონი და იტალია, რომელიც ფაქტიურათ ჩამოშორდა სამთა კავშირს, მეორე მხრით კი ავსტრო-უნგრეთი, გერმანია. ოსმალეთი და პატარა რუმინია. ამბობდნენ და ამბობენ, ვითომ იაპონიაც ავსტრო-გერმანიის კავშირს ემხრობაო, მაგრამ გადაჭრით ჯერ-ჯერობით არაფერი ითქმის, რადგან იაპონია თავის საკუთარ პოლიტიკას ადგია, თავის გზით მიდის და ამ საქმეებში თავის მომხრეობას არაფრით არ იჩენს.

\*  
\* \*

**ადმირალი ტოგო.** სწორეთ იმ დროს, როცა რუსეთმა ერთხელ კიდევ მიიხედა შორეულ აღმოსავლეთისკენ და ერთხელ კიდევ დაინახა ლანდი მომავალ ბრძოლისა იაპონიასთან, ჩვენი კარგი ნაცნობი ადმირალი ტოგო ჩამოშორდა იაპონიის ფლოტს, რომელიც მან შეჰქმნა, აღზრდა, ბრძოლაში გაიყვანა და საქვეყნო დიდება და სახელი მოუპოვა. ტოგო ჯერ კიდევ ახალგაზდაა, აღსავსე ენერგიით, ხალისით, ძალითა და მტკიცე ხასიათით. მას კანონით კიდევ შეეძლო რვა წელიწადი ემსახურა და დაემთავრებინა თავისი ქმნილება. მაგრამ არ დასცალდა. მთავრობისა და ტოგოს შუა შავმა კატამ გაირბინა.

ოთხი წლის წინათ ტოგომ შეიმუშავა ვრცელი გეგმა იაპონიის ფლოტის გაძლიერების შესახებ. იმის ანგარიშით 1911 წელს იაპონიის ფლოტი უნდა დასწოდა გერმანიის ფლოტს და შესძლებოდა ამერიკის ფლოტთან გამკლავება. საიონჯის სამინისტრომ ტოგოს გეგმა შეჰკვეცა და ხუ-

თის მაგივრად შვიდ-წლამდე გასკიმა მისი განხორციელება. შარშან კაცურას სამინისტრომაც შეამოკლა საზღვაო ხარჯი და დააგვიანა ახალ გემების აშენება. თუმცა რუსეთის დამარცხება უფრო ტოგოს ფლოტს უნდა მრეწერის ვიდრე ოიამას მხედრობას, მაგრამ იაპონიის მთავრობამ გამარჯვების შემდეგ მთელი თავისი ყურადღება ხმელეთის ჯარს მიაქცია და ფლოტი თითქო აითვალწუნა კიდევ. „ბებერი ზღვის მგელი“ (ასე ეძახიან ეხლა ტოგოს) გრძობდა ამას და ჩიოდა, მაგრამ ვერაფერს გახდა და ბოლოს თავიც დაანება საზღვაო შტაბის ხელმძღვანელობას.

ტოგო 16 წლისა ძლივს იყო რომ გემზე ავიდა და სამუდამოთ შესწირა ზღვას თავი. სპეციალური საზღვაო განათლება მიიღო ინგლისში, შეითვისა ინგლისელთა საზღვაო ტრადიციები, ზედმიწევნით შეისწავლა ეს ხელობა, შვიდი წლის შემდეგ დაუბრუნდა თავის სამშობლოს და მთელი თავისი ახალგაზრდობა, ძალ-ღინე, სული და გული შესწირა თავის სამშობლოს მომავალ დიდებასა და ძლიერებას.

ალბათ ყველას ახსოვს მისი „საქმენი საგმირონი“ რუსეთ-იაპონიის ომის დროს. ამ საქმეში მან ისეთი ღვაწლი დასდო თავის სამშობლოს, ისეთ ხიფათისგან იხსნა და ისეთის გვირგვინებით შეამკო მისი ისტორია, რომ მისი ერი მუხლს მოიყრის მის წინაშე და ოქროს ასოებით ჩასწერს მის სახელს თავის ისტორიაში.

ინგლისელნი და ამერიკელნი ტოგოს იაპონელ ნელსონს უწოდებენ, სხვების სიტყვით კი ნელსონი ტოგოს ვერ შეედრება. ტოგოს უფრო მეტი ხიფათი მოელოდა ვიდრე ნელსონს რუსეთის ფლოტი ომის დასაწყისს ორჯერ სკარბობდა იაპონიის ფლოტს, მაგრამ ტოგომ თავის გენიოსობით სძლია ორჯელ ძლიერი მტერი და ამით, ჯერ ერთი, სრულიად დაუკარგა რუსეთს იაპონიის დაპყრობის იმედი, და მეორე—გზა გაუკათა ოიამას ჯარს მანჯურიისკენ, რომელიც მთავარი მიზეზი იყო საშინელ ომისა.

ალი.

—\*\*\*—

რედაქტორ-გამომცემელი სვ. ყიფიანი.

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოებაში ახალი წიგნი:

# კვალი საქართველო.

ტომი I.

საქართველს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, გამოცემული ექვ. თაყაიშვილის რედაქტორებით.

ეს წიგნი უფასოდ დაეთმობათ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილ წევრებს, რომელთაც შემოუტახნათ 1909 წელს საწევრო გადასახადი (3 მან.). ასეთ წევრებს, ტფილისში მცხოვრებთ, შეუძლიანთ მიიღონ წიგნი წერა-კითხვის საზოგადოებაში, სიღო ქადაქს კარედ მცხოვრებთ წიგნი ფოსტით გაეგზავნებათ. ფასი წიგნის 3 მან. 50 კაპ. (3—უ—1)